K 7.639
3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ე. ს. თაყაიშვილი

საისტორიო მასალანი

წიგნაკი მეოთხე

I. რას შეიცავდა ეგრეთ წოდებული აფხაზეთის ისტორია ბაგრატ მეფისა.

II. მოკლე ცნობები საქართველოს ისტორიიდან და შენიშვნანი ამ ცნობების შესახებ.

III. ჟამ-გულანი № 381 „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა“ და ისტორიული მინაწერები მისი კვინკლოსისა.

IV. ჟამ-გულანი № 342 „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა“ და ისტორიული მინაწერები მისი კვინკლოსისა.

V. მეფის გიორგის ძის დავით ბატონიშვილის ხელით დაწერილი ქრონოლოგიური ნუსხა.

ტ ფ ი ლ ი ს ი
ელექტრო-მბეჭდავი ს. მ. ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქ., საკ. სახ. № 5.
1913

ე. ს. თაყაიშვილი.

БИБЛИОТЕКА ЧИТАЛЬНЯ МОСКВА

9(47.922)

საისტორიო მასალანი

117.639/3

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპეც-2000
ეროვნულია

5781
10454

თბილისი
ელექტრომბეჭ. ს. მ. ლოსაბერიძისა, საკუთ. სახ. მოსკოვის ქ. № 5.
1912

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამოღებულია ძველი საქართველოს მე-II ტომიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეშურებოდა კონსტანტინეპოლში და ადრიანოპოლში, რომ თავიდან აცილებია ცილისწამებანი, ხან ესწრობოდა სხვა და სხვა კრებებს და ეოველი სასულიერო საგნის გადაწყვეტაში პირველი ადგილი ეჭირა. სადაც თვით ვერ მივიდოდა, წერილებით და ეპისტოლებით ჭქონდა გავლენა. სხვათა შორის რჩევას აძლევდა რუსეთის ხელმწიფეს პეტრე დიდს საეკლესიო რეფორმების შემოღებაში. მის დროს შესდგა იერუსალიმის კრება 1672 წლისა, რომელმაც გამოიმუშავა სამართლმადიდებელო სჯულის ადსარება, რომელსაც დღემდისაც დიდათ ათვსებს მართლმადიდებელთა ეკლესია. დოსითეოსმა დიდი პატივი დაიმსახურა და გადაიცვალა კონსტანტინეპოლში 7 თებერვალს 1707 წელს*).

პატრიარხ დოსითეოსმა მრავალი თხზულება დასტოვა, მათ შორის პირველი ადგილი უჭირავს „იერუსალიმის პატრიარხთა ისტორია“-ს, რომლის ბერძნული ტექსტი დაიბეჭდა **ბუხარესტში** 1715 წელს. დოსითეოსი ორჯერ იყო საქართველოში, კარგად იცოდა მდგომარეობა ქართველთა სამეფოებისა და ქართველთა მეფეებისა, ხშირი მიწერ-მოწერა ჭქონდა მეფეებთან და მთავრებთან, ხან თულს სთხოვდა მათ, ხან ამხნევებდა, ხან დარიგებას აძლევდა სჯულის შესახებ. ამ მიწერ-მოწერიდან ჯერ-ჯერობით ხუთი წერილია ცნობილი. მათი რუსული თარგმანი დაბეჭდილია „Духовный Вѣстникъ“-ში პლატონ იოსელიანის მიერ 1866 წელს. თარგმანი ეკუთვნის არქიმანდრიტ პორფირი უსპენსკის.

პირველი წერილი დაწერილია ადრიანოპოლში 1699 წელს, მარტში. ამ წერილში ვრცლათ მოთხრობილია ისტორია ქართველთა ჯვარის მონასტრისა იერუსალიმის მახლობლათ, თუ როგორ იყო დავალიანებული და შევიწროებული თათრებისაგან. დოსითეოსს გამოუყიდია მონასტერი და მისი მამულები, გაუსტუმრებია ყველა ვალები, გაუთავისუფლებია დაგირავებული ნივთები და ავეჯი. დოსითეოსი სთხოვს ქართველებს და ქართველ მეფეებს გადასწყვიტონ ეს ვალი 94,000 პიასტრი.

---

*) იხ. Православная богословская энциклопедія подъ редакціей А. П. Лопухина, т. V. стр. 27.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე წერილი მიმართულია მეფე ერეკლე პირველისადმი, ანუ ნაზარ-ალი-ხანისადმი, რომელმაც მუსულმანობა მიიღო სპარსეთში 1676 წლის ახლო ხანებში, გადაიცვალა 1710 წელს. ამ წერილში დოსითეოსი მოგვითხრობს, თუ როგორი დიდი გავლენა ჰქონდათ ქართველებს და ქართველ მეფეებს თათრებზე და ეგვიპტის მამელიუკებზე, როგორ არა ერთხელ გადაარჩინეს მათ იერუსალიმის ეკლესიები თათრების აკლებისაგან, როგორ უფლიდენ და ამდიდრებდენ ამ ეკლესიებს ქართველი მეფეები ვახტანგ გურგასალიდან დაწყებული და შემდეგი მეფეები ბაგრატიონთა შთამომავლობისა. მოაგონებს ერეკლეს, თუ როგორ ესტუმრა პაპა მისს მეფე თეიმურაზ I-ს თეოფანე პატრიარხი, როგორ კარგათ მიიღო მან პატრიარხი, როგორ გაუმასპინძლდა და მისცა დიდი ფული, რომლითაც პატრიარხმა გაისტუმრა ვალი ჯვარის მონასტრისა. ამცნევს, რომ მისი დედის გასვენებულის ელენეს ხელით(?) მან ერთხელ გამოუგზავნა ისპაჰანიდან ჯვარის მონასტერს 1667 პიასტრი, მეორეჯელ 1000 პიასტრი და მისმა კაცებმაც გამოუგზავნეს ფულები და ნივთები, ამიტომ დოსითეოსი სთხოვს ერეკლე პირველს, კვლავ არ დაივიწყოს იერუსალიმი, გამოუგზავნოს შემოწირულობა არა თუ მარტო მოსახსენებლათ, არამედ რომელიმე ქართველთ მონასტრის გასაახლებლათ, ისე როგორც ქსნის ერისთავმა არხიმანდრიტმა იოსებმა, თანამედროვემ დოსითეოსისამ, განაახლა მონასტერი წმიდათა თეოდორეთა, ელენე დედოფალმა, ლეონ დადიანის მეუღლემ (1611—1657), განაახლა წმიდა ნიკოლოზის სავანე; ჯვარის მონასტერი განაახლა და მოახატვინა თვით ლეონ დადიანმა, აბრაამის მონასტერი ძირიანათ ალადგინა გიორგი აბაშიძემ. ამის მსგავსი რამე შენც გააკეთო, დასძენს დოსითეოსი. ამასთანავე პატრიარხი დოსითეოსი უჩივის ჯვარის მამის წინამძღვარს გაბრიელს, რომელიც განაწესა ნიკოლოზ კათალიკოსმა ამილახვარმა, გივის ძმამ (კათალიკოსათ აკურთხეს დომენტის შემდეგ 1675 წ). არ არის კმაყოფილი შემდეგი წინამძღვარის არსენისაც, რომელიც გამოუცვლია კათალიკოსს იოანნე დიასამიძეს. ესენი არ იყვნენ სათნოიანი ადამიანები და ვალში ჩაგდეს მონასტერიო და სხვ.

მესამე წერილი გამოგზავნილია ადრიანოპოლიდან სეკტემბერში 1701 წლისა. დოსითეოსი სწერს იმერეთის და ათონელთის კათალი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოზს გიორგის, ნუ დაუშლი და ნება დართე, რომ გიორგი ლიპარტიანმა (ჩიქოვანმა, ეხლანდელი დადიანების წინაპარმა) შეირთოს გიორგი აბაშიძის ქალი თამარიო, თუმცა თამარი ლიპარტიანის ნათლული იყო. დოსითეოსი სწერს, გიორგი ლიპარტიანს მარტო მირონი უცხია თამარისათვისო და წელიო მომნათლელი მას სხვა ჰყოლიაო, ამიტომ თამარის ცოლათ შერთვას ნუ დაუშლი, რომ ეს ორი სახლი, აბაშიძე და ლიპარტიანი, ერთმანეთში მშვიდობით იყვნენო. ამასთანავე დოსითეოსი სთხოვს კათალიკოსს მოახდინოს საეკლესიო კრება და აუკრძალოს ყველას ტყვის გაყიდვა.

მეოთხე წერილი გამოგზავნილია 1706 წელს ივნისში ვახტანგ მეექვსისადმი. წერილში ვრცლათ მოთხრობილია ისტორია და მდგომარეობა ჯვარის მონასტრისა, კათალიკოსის დომენტი II-ის (1660—1675) მოგზაურობა იერუსალიმში და სხვა. ბოლოს ვახტანგს ბასუხს აძლევს შეკითხვაზე, თუ როგორ მოიქცეს ვახტანგი: სპარსეთის შაჰი მას სთხოვს ტყვეებს; არ გაუგზავნოს, შაჰი აოხრებს საქართველოს, და გაუგზავნოს, ტყვეებს ამაჭმადიანებს შაჰი და მით ცოდვაში ვარდება მეფე. დოსითეოსი ასეთ რჩევას აძლევს: მეტი ჯანი არ არის, უნდა გაუგზავნოო, მაგრამ მეტ ერთგულებას ნუ გამოიჩენ ამ გაგზავნაშიო, იმდენი გაუგზავნე, რომ ნაგლების გაგზავნა ადარ შეიძლებოდესო. ამასთანავე დოსითეოსი სთხოვს ვახტანგს, ლათინთა მდვდლები განაძევოს ტფილისიდან. ლათინები ბევრათ უფრო მავნე არიან მართლმადიდებელთათვის, ვიდრე სომხებიო.

მეხუთე წერილი წარმოადგენს ბირობის სიგელს, რომელსაც დოსითეოსი აძლევს მეფე საქართველოს. ეს სიგელი დაწერილია კონსტანტინეპოლში 1706 წელს, ივლისში. აქ დოსითეოსი მოგვითხრობს, რომ ჯვარის მონასტერი და ყველა სხვა ქართველთა მონასტრები დავალიანებულები იყვნენ და მიტოვებულნი 40 წლის განმავლობაში და კინადამ თავათ არ დაინგრენო. ლათინებს და სომხებს უნდოდათ მათი შეძენა მეფალეებისაგან, მაგრამ ჩვენ სამმა ბერი შევკარითო, ესე იგი, მე დოსითეოსმა, მეფე გიორგიმ და მისმა ძმამ ბატონმა ლევანმა. ჩემი იყო შრომა და მათი ფულებიო. ყველა მონასტრები ამოვიგეთო, ვალიდან გავათავისუფლეთ და ქართველებს ჩავაბარეთო. ეს მონასტრები არიან: ჯვარისა, წმინდა ნიკოლოზისა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

წმიდათა თეოდორეთა, წმ. ვასილისა, წმ. ანნასი და წმიდა გიორგისა ებრაელების უბანში. ამ მონასტრების სრული უფალნი იყვრიელები არიანო, არავის ნება არა აქვს გაედაოს და მათ საქმეში ჩაერიოსო. ყველა ვალი და ხარჯი მათი გადაწყვეტილიაო. ბერძნის პატრიარხს მათზე არავითარი უფლება არა აქვს ძმობისა და ერთობის შეტიო. შემდეგ წყევლა არის, ვინც ეს განჩინება და პირობა შეცვალოსო.

თუმცა დოსითეოსი მომხრე ჯ მეგობარი იყო ქართველებისა, მაგრამ ავათ იხსენიებს ერთ შესანიშნავ ქართველ მოღვაწეს იმ დროისას. ეს მოღვაწე არის ნიკოლოზ ანუ, ბერობაში, ნიკიფორე ჩოლაყაშვილი, ომან ჩოლაყაშვილის შვილი. ნიკოლოზი ძრიელ განათლებული კაცი იყო. იცოდა შვიდი უცხო ენა, მოგზაურობდა ევროპაში, აზიაში და აფრიკაში. სხვათა შორის ის იყო ოსმალეთში, ავსტრიაში, გერმანიაში, შვეიცარიაში, ვენეციაში, რომში, ისპანიაში, საფრანგეთში და ინგლისში. როდესაც ბერათ შესდგა, წინამძღვარი იყო მცხეთისა და მეტეხის ეკლესიისა ტფილისში, მოძღვართ-მოძღვრად ითვლებოდა კახეთისა, მერმე არქიმანდრიტათ იყო კოტხერის მონასტერში სამეგრელოში, ლევან დადიანის დროს, და იქაც დიდი პატივი და სახელი დაიმსახურა. შემდეგ წინამძღვარი იყო იერუსალიმში ჯვარის მონასტრისა და გოლგოთისა. თეიმურაზ I დიდათ აფასებდა ამ ჭკვიანს, გამოტდილს და მამულისათვის ერთგულ ქართველს და გზავნიდა მას სხვა და სხვა ქვეყნებში ელჩად. სხვათა შორის ის სამჯერ იყო გაგზავნილი რუსეთში მეფე მიხეილ თეოდორეს ძესთან და ოორმეტჯერ სხვა სახელმწიფოებში დიპლომატიური მინდობილობით და ყოველთვის კარგათ ასრულებდა თავის მოვალეობას. 1635 წელს ნიკიფორე მიტროპოლიტათ უნდა ეკურთხებინათ, ნიკიფორემ ითხოვა, რომ მისთვის ნება მიეცათ იერუსალიმში წასვლისა და იქ კურთხევისა, მაგრამ თეიმურაზ მეფემ სთხოვა დარჩენილიყო, რადგანაც ასეთი სასარგებლო კაცის მოშორება მისთვის იმ დროს მძიმე იყო. როდესაც ბოლო დროს ნიკიფორე წავიდა იერუსალიმში და იქ დაბინავდა (1643—1648 წწ.), დიდი პატივი, სიყვარული და გავლენა დაიმსახურა. ის ისე დაიახლოვა და შეიყვარა იერუსალიმის პატრიარხმა **თეოფანემ**, რომ მან ნიკიფორე თავის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოადგილეთ დანიშნა სიკვდილის წინ 1645 წ. მაგრამ სხვა ბერების სამღვდელოება ვერ შეურიგდა ამბრს, რომ მათ პატრიარხათ ქართველი ჰყოლოდათ და ნიკიფორე არ დაამტკიცეს პატრიარხად.

დოსითეოსი ამბობს, რომ ჯვარის მონასტრის დავალიანება ნიკიფორეს და მისი დაუნებული მოადგილეების ბრალია, ის ფრანგთა შორის მოგზაურობდა, გარეგანათ იყო მარტო ბერი, თორემ ისე ამპარტავანი და ბოროტი კაცი იყო.

ჩვენ კი დანამდვილებით ვიცით, რომ ნიკიფორეს მოღვაწეობა იერუსალიმში ძრიელ თვალსაჩინო იყო. მან, სხვათა შორის, მოახატვინა და გაამშვენა ჯვარის მონასტერი 1643 წელს.

საზოგადოთ ჯვარის მონასტერი ძრიელ მგვიდრათ შეაკეთა და გაამშვენიერა ნიკიფორემ და შემდეგ დაბრუნდა საქართველოში[1]). ბოლო დროს რომში იყო. იქ, როგორც ამბობენ, კათალიკოსობა მიიღო და იქვე გადაიცვალა ნიკიფორე ირბახად წოდებული. ჯერ კიდევ, როდესაც პირველათ იყო რომში 1627—1628 წლებში, იმეცადინა და იქ პირველათ ქართული ასოებით დაიბეჭდა 1629 წ. ქართულ-იტალიანური ლექსიკონი და ლოცვანი. ლექსიკონი შედგენილი იყო სტეფანე პოლინის მიერ ნიკიფორე ირბახის დახმარებით[2]).

როგორც მოგიხსენიეთ პატრიარხი დოსითეოსი ორჯერ იყო საქართველოში. პირველათ 1658—1659 წლებში იერუსალიმის პატრიარხის პაისის თანამხლებელათ და მეორეთ 1681—1683 წლებში, როდესაც თვითონ იყო პატრიარხათ[1]). დოსითეოსი ბევრ ცნობებს გვაძლევს საქართველოს შესახებ თავის „იერუსალიმის პატრიარხთა ისტორიაში“. ეს ცნობები საუკეთესო მასალაა სარწმუნოების და ზნეობის შესასწავლათ საქართველოს ხალხისა მე-XVII საუკუნეში. ამ თხზულებას ბოსსემ დიდი ხანია მიაქცია ყურადღება და 1839

---

[1]) იხ. Цагарели, Памятники грузинской старины въ Святой землѣ и на Синаѣ 66—100.

[2]) იხ. მღვდელი მიხაილ თამარაშვილის: „ისტორია კათალიკოსობისა ქართველთა შორის“ და „d'Église Géorgienne“. ამ ორ წიგნში შეკრებილია დიდი მასალა ნიკიფორე ირბახის მოღვაწეობის შესახებ დასავლეთ ევროპაში და შესახებ მისი განწყობილებისა კათოლიკებისადმი. უკანასკნელ შრომაში პორტრეტიც არის ნიკიფორესი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წელს ერთათ შეკრიბა და ფრანგულათ გამოაქვეყნა დოსითეოსის ტნობები საქართველოს შესახებ [1]). დიდ ყურადღებას აქცევს და ბევრ ტნობებს გვაძლევს დოსითეოსი საქართველოს ისტორიის შესახებ და აგრეთვე შესახებ ისტორიისა საქართველოს მოსაძღვრე ხალხებისა. ჩვენ ამ ჟამად გვაინტერესებს ტნობები ათხაზეთის ისტორიის შესახებ. დოსითეოსს მოჰყავს შთამოშავლობითი სია ათხაზეთის მეფეებისა და ზოგიერთის შესახებ უჩვენებს, თუ რამდენი წელი იმეფა. ამასთანავე დოსითეოსი დასძენს, რომ მან ეს ტნობები ამოსწერა ბაგრატ მეფის მიერ შედგენილის „ათხაზეთის ისტორიისაგან“. დღემდის ჩვენ არავითარი ტნობა არა გვქონდა ამ ისტორიის ქართული დედნის შესახებ. ეგელა მკვლევარი მწუხარებას აცხადებდა, რომ ,,ათხაზეთის ისტორია ბაგრატისა'' დაკარგულა, ანუ ჯერ არ ამოჩენილა.

მაგალითათ, ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე ვახუშტი ბატონიშვილის ისტორიის წინასიტყვაობაში ჩამოგვითვლის რა საქართველოს ისტორიის წყაროებს, სხვათა შორის, დასძენს:

,,ზემოხსენებულ ტნობათა გარდა ჩვენამდე მოუღწევია სხვა ტნობათაც ძველ ქართულ წყაროებზე, რომელნიც არ ვიცით, სად იპოებიან, კერძო სახლებში თუ მონასტრების წიგთ-საცავებში. მაგალითებრ, სად არის ბაგრატ მეფისაგან მე-X საუკუნეში შედგენილი ,,ათხაზეთის ისტორია'', საიდამაც იერუსალიმის პატრიარქს დოსითეოსს მე-XVII საუკუნეში ადგილობრივ გამოუკრეფია თავის ტნობები და რომელნიც აქ იქ ქართლის ცხოვრების ტნობათაგან განსხვავდებიან!''

ეხლა ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, ეს ისტორია, თუ ეს ისტორიათ ჩაითვლება, ხელში გვაქვს, ესე იგი ხელში გვაქვს ქართული ტექსტი იმისი, რასაც დოსითეოსი უწოდებს ,,ათხაზეთის ისტორიას ბაგრატ მეფისა'' და რითაც მას სავსებით უსარგებლნია.

ჩვენ ვიპოვნეთ ერთი ხელთნაწერი, რომელიც წარმოადგენს კრებულს სხვა და სხვა ნაწერებისას, უმეტეს შემთხვევაში საეკლესიო ხასიათისას.

---

[1]) De l'état religieux et politique de la Géorgie jusqu'au XVII siecle, par M. Brosset. Bull. Scient. t. V 1839.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობები ხელთნაწერის შესახებ.

კრებული სხვა და სხვა ნაწერებისა, 8,5×22 სანტ., ხის შავ ტყავ გადაკრულ ედაში, შესდგება სხვა და სხვა ერთათ შეკრულ რვეულებისაგან. უმეტესი ნაწილი რვეულებისა ერთი ხირისაგან არის გადაწერილი, მაგრამ არა ერთ დროს, არამედ სხვა და სხვა წლებში, დაახლოებით 1763 წლიდან 1793 წლამდის. ასე რომ მთელი კრებული ეკუთვნის მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარს. შიგა და შიგ მოიხოვება სხვა ხელით ნაწერი რვეულებიც. უმეტესი ნაწილი ნაწერია ნუსხა მხედრულის ხელით, ორი რვეული ნაწერია ნუსხა ხუცურით. უმეტესი ნაწილი რვეულებისა, როგორც სჩანს, გადაწერილია მღვდელ-მონაზონის **გერმანეს** მიერ. შეიცავს შემდეგ სტატიებს:

1. **ათნი მცნებანი,** რომელნი მიეცნეს მოსეს ღთის მხიდველსა, თითითა ღისათა წერილნი, რნი თანა გვაძს უთა ქანეთა დამარხვად: უხირველესი სათნოებანი; მადლნი სულისა წმიდისანი; საიდუმლონი წისა ეკლესიისანი; მსოფლიონი კრებანი; შვიდნი მოშაგვდინებელნი ცოდვანი; ცოდვანი, რომელნი ადძრვენ ღა რისხვად; სულისა წმიდისა მიმართ წინააღმდგომნი ცოდვანი; ცხრანი ნეტარებანი; მეორედ მოსლვას კითხვა უისაგან ეთა კაცთა. სულ ჩამოთვლილნი სტატიები შეიცავენ ორ ფურცელს.

2. თთუესა იანვარსა კბ **ცხოვრება** წისა და საკვირველთ მოქმედისა **ტიმოთესი.**

3. ცხოვრება სიმეონ (სნ) მესვეტისა.

4. სვინაქსარისაგან სიტყვანი სულთა სარგებელნი. ბოლოს სხვა და სხვა რეცეპტები თავგების დაფრთხობის შესახებ და სხვა. ეს სტატია შეიცავს ცალკე რვეულს.

5. ხრონოლრაფისაგან ამოდებული სიტყვები, ხუცური ხელით ნაწერი თავში და შემდეგ მხედრულათ. ცალკე რვეული.

6. ცხოვრება წისა სვიერიდონისა.

7. ცნობები ქართველ მთარგმნელების შესახებ: იოანე გრძელისძე, იოანე მამა ეფთვიმისა (წმიდა ეფთვიმი ქეს აქეთ ჟბ, 92(?) ბაგრატ ბაგრატოვნის მეფობასა), არსენი ნინოწმინდელ ეპისკოპოსი, დირსი იოანე ხახულელი და ოქროპირი, ნეტარი ბერი გრიგოლ ხა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი აბრაჰამ. ზაქარია მირდატის ძე (შირდატის ძე?), არსენი, გიორგი (გიორგი შეეენებული, ქ ეს აქეთ 68(?), გიორგი მთაწმინდელი, იოანე ჰეტრიკ ეოფილი, გიორგი ოლთისელი, სტეფანე, დიდი ილარიონ თვალელი, მოძღვარი გიორგისა, ბასილი ბაგრატის ძე ხახულს მეოფი, ჰეტრიწი ფილოსოფოსი, ეფრემ მცირე, თეოფილე, არსენი იუალთოელი და იოანე ტაიწის ძე. ესე ოთხნივე დავით ადმაშენებელის ჟამს იუვნენ.

8. შვიდი ხარისხი მდვდელობისა.

9. ცნობები ქვეყნის ზომების შესახებ, ზღვის და ხმელეთისა.

10. ლეგენდა შაჰაბაზის ჯადო ცოლის შესახებ.

11. სახელები წინასწარმეტყველებისა, მოციქულთა, მამათ-მთავართა, იესო ქრისტეს 70 მოწაფეთა, ცნობები თუ რამდენი იცოცხლეს მამათ-მთავართა, თორმეტთ ბურჯთა ვარსკვლავთა სახელები.

12. ქართლის ცხოვრებაში ნახმარების გეოგრაფიულის სახელების ახსნა ოანხმად ქართლის ცხოვრების შენიშვნებისა [1]).

13. ცნობები მსოფლიო კრებათა შესახებ.

14. ანნა დედოფლის საფლავის წარწერა, ანუ დასაწერად გამზადებული ეპიტაფია, რომელიც აქვე მოგვაქვს:

[წარწერა] ანნა [2]) დედოფლის საფლავისა (ლოცვამან ანნა).
მიწითნო წერით, გეტყვი მიწამე უტყვი.
სძლად მაგო მაგმან მტილსა სადავითოსა:
მითნო თან კორცად. ირაკლი მეფე პანკრატით.
ოთხ წელ საშრომნოდ. ყვავნა დიდუფლობამან,
ათ ცხრამეტ წლისა. დამწიხნა ძვალთ განმშიშვლემან:.
დავყვავილონდი. ვარდი მეცა სიტყვითი.
ცხედარსა ზედა. სოლომონითურსა.

---

[1]) ასეთი განმარტებანი სამეგრელოს თავადის ვარიანტიდან იხილე ჩემს გამოცემაში: Описанія рукописей общества грамотности, т. I, стр. 425—426.

[2]) ანნა იყო ზაალ აბაშიძის ასული, მეორე ცოლი მეფის ირაკლი მეორისა, რომელზედაც ირაკლიმ იქორწინა 1745 წელს. ანნა გადაიცვალა ექვს თუ შვიდ დეკემბერს 1749 წელს და დამარხულია მცხეთაში. ანნა იყო დედა გიორგი მეთორმეტისა. ეს ეპიტაფია თავის ნიშნებით მოგვყავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვრცელ დალიჭმკობა. ვსცვალე სიჩო ახლადობაჲ.
არ ემოწყალა უწყალოს მცა მიწა მიწას.
ორად განმწვალა. მაავლა მცვალა გლახაკად.
მომსხლა მყის მყისად მკლელობისა მენამან.
აჰა მირონთა. წუთხნი ემონაცვალნეს.
ცვლილ მარგალიტნი. შავთა ჭიქათა ბნელად.
ესრეთ მარღვია. მოწყლა ხატი მბადისა.
და დამაკვეთა მტვერსა შერთული მტვერი:.

უკმოთა [1]) ლმობითა გემოქენები ყოველთა დამჭვრეტელთა შენდობის ყოფად არა რაჲ ესე. რომელი ვიყავ ანნა ასული აბა(შ)იძისა. ხოლო სძალი ქართველთ მეფის ცხებულის თეიმურაზისა. და სატრფო ფერცხალი ირაკლი კახთა მეფისა, ხოლო დიდებაჲ ჩემი აქა დაშრტა და ერთ კორცობა ჩვენი აქა იცვალა [2]).

15. სწავლანი სახარების თარგმნიდან და სწავლანი მაქსიმე აღმსარებელისა. თავში ამ უკანასკნელს ასეთი წარწერა აქვს:

უდაბნოში რომ ვიყავი წელსა ქ^ესით ჩღოვ, აგვისტოს, ერთათ შეკრებულის წიგნებიდან ამოვსწერე.

აქედან სჩანს, რომ უმეტესი ნაწილი ამ წიგნში მოქცეულ წერილებთა გადაწერილია 1776 წელს.

16. უდაბნოსა სქელის მეტაფრასიდან ამოღებული ცნობები.

17. ოთხისა მიზეზისათვის არა მისტემენ ერსა სისხლსა და კორცსა ლათინნი. ამას თავში უწერია: ამას ლათინნი ასე იტყვიან, სადღაც მინახავს, არ შეიწყნარება.

18. წიგნი ადსარებისა. ცალკე რვეული.

19. თქმული წ^ისა მამისა ჩვენისა ი^ნე ოქროპირისა. თავი: დადგათუ ე^ნი დღენი ცხოვრებისა შენისანი ცოდვასა შინა წარკადენ.

---

[1]) აქედან დაწყებული ეს ეპიტაფია ცოტა შეცვლით ბროსსესაც მოჰყავს სასაფლაოს წარწერიდან (იხ. Bapp. I, p. 23). მოგვყავს აქ წარწერა ბროსსეს მოგზაურობიდან:

ქ. უკმოთა ლმობითა გექენებით ყოველთა და მჭვრეტელთა შენდობისა ყოფად არა რაჲ ესე, რომელი ოდესმე ვიყავ ანნა, ასული აბაშიძისა, ხოლო სძალი ქართველთა მეფისა ცხებულის თეიმურაზისა და სატრფო ფერცხალი ირაკლი კახთა მეფისა. არამედ ჩემთჳს დიდება ესე ყოველივე აქა დაშრტა, დეკენბერსა ვ. ქრისტეს აქათ ქ^სა. ჩღმთ.

[2]) დედანში სწერია: იწვალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელსა დღესა მდებარე რა იყო ცხედარსა ზ᾽ და მიახლებულ სიკვდილად, მაშინცა შეინახე.

20. სწავლანი სათნოებათა ზედა.

21. სწავლანი წ᾽თა მამათანი.

22. კრების წიგნისაგან კირილესისა ამონაწერები.

23. წ᾽თა შორის მამისა ჩვენისა ი᾽ნე სინის მთისა წინამძღურისა მოძღურებითა განთქმულისა, რ᾽ი შეუთხზს, ადსწერს სწავლათა სამათ კიბოანთა თქმობათა შ᾽ა მრავალ კეთილ ფერთა (ამონაწერები).

24. სწავლა მღვდელთ-მთავართაგან ახლად დადგინებულთა მღვდელთა მიმართ, რათა ე᾽თა მღვდელთა აქვნდეს ადწერილი ქარტასა ზედა მცნება ესე (გამოკრებულნი სწავლანი სჯულის კანონისაგან).

25. კითხვა-მიგება სასულიერო ხასიათისა.

26. სხვა და სხვა საქრისტიანო სწავლანი და მოძღვრებანი: რა უნდა იცოდეს იმან, ვისაც ნათლის-ღების შვილობა უნდა; ათი მცნებანი; კეთილი საქმენი; ცნობები წლის და დღის მარხვათა და ხსნილთა შესახებ; დღესასწაულთა შესახებ ცნობანი; საკვლესდარო ცნობები, რომლიდგანაც სჩანს, რომ ხელთნაწერი გადაწერილია **1774 წელს**. ამ წელს ქგ᾽ნი უღა(?), დასაბამითგან გსბ: ქ᾽ეს აქეთ: ჩდოდ: ზედადები კე.

27. უარეოფილთ ქრისტიანეთა და კ᾽ დ მოქცეულთა განწესებული, თუ ვითარ ჯერ არს შეწესარება. სწავლა.

28. მზვაობრობისათჳს და ამბარტავანებისა, თქმული წ᾽ისა ევაგრისა მზვაობრობისათჳს.

29. სიტყვანი წ᾽ისა მამისა კასიანესი და სხვათა მამათა.

30. იბაკონი წ᾽ისა დ᾽ის-მშობლისანი.

31. სიმეოლო სარწმუნოების შესახებ განმარტებანი. ამას თავში უწერია: ერთი წიგნი იყო რუსეთის დაბეჭდილი ქართულს ენაზედ თავს ეწერნეს... (სხვა წაჭრილია).

32. თქმული ბრძენთაგან სწავლისათვის შვილთასა.

33. სწავლანი წ᾽ისა მაქსიმე აღმსარებელისა და იოანე ოქროპირისა.

34. ლოცვა სვედრებელი უკანასკნელი სულთა და კორტთა განერისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

35. წესი გამორჩევისა და კელ-დასხმისა მდუდელ-მთავრობითისა.

36. ხარისხნი ნათესაობისა: ტოდ-ქმართა ნათესავნი.

37. იოანესაგან სინელლისა სამათნი გვარნი ადსავალთაებრ თქმულნი.

38. ვითარ ჯერ არს ადსარებათა თქმა წ~ე მოძღვრისა მოწვეისა მიერ, რ~ისა კიდე შეუძლებელ არს ცხოვრება:. სხვა და სხვა ტოდვანი.

39. სარწმუნოება შემოკლებით ადწერილი ტფილელ მიტროპოლიტის ნიკოლოზის მიერ. რომელსაც გენებოს სწავლა ამით მიიღოს. დასაწყისი: კით.: რა არის სჯული? მიგება: მოსეს ათნი მცნებანი.

40. კითხვა-მიგება ადსარებისა, თუ ვითარ ჯერ არს. და. განმარტება ადსარებისა დაწერილი დავით ბატონიშვილის მიერ **1793 წელსა ქკ~ს უპა, თებერვალს იზ.** ამ დავითის ნუსხიდან არის გადმოწერილი ეს ნუსხა. და შემდეგ ადსარებანი სხვა და სხვა მამათა და განმარტებანი ანუ შემოკლებული ღვთის-მეტყველება. ამას აქვს ასეთი შენიშვნა ბატონიშვილის დავითისა: ამისთვის მეცა საჭიროდ ადმიჩნდა შემეტნებად ამისა ერთა ჩ~ნთა და ადვსწერე განმარტება ადსარებისა ამის რაოდენ ძალ ედვა უძლურებასა ჩემსა და უგეთუ ჭეშმარიტ რაჲმე ცოდმაჲ, ვითხოვ მოტოვებასა, ვისაჲთგან ჯერეთ ჭასაკითა სწავლისათა ვარ გამოუცდელ და არა თუ მხოლოდ ამით, ა~დ ჟ~ითაცა (ჟამითაცა). საქართველოს მეფის ირაკლი მეორისა ბირმეოს. ძის გ~ის ბირმეო ძე დავით. სრულ იქმნა წელსა ქ~ესსა, ჩლჟგ. ᲑᲐ ქართ~ლსა ქ~ს უᲑᲐ. თებე. იᲒ.

41. სხვა და სხვა მოკლე ამონაწერები, შენიშვნანი და განმარტებანი სახარების თარგებისა: რა არის: „მზესა ადგა კარავი თჳსი, და თავადი ვ~ა და სხ~ნი“; გულის წერომისათჳს; განმარტებანი, თუ რა საგანია ნიკრონკოზი, ატმოსფერა, რეტორიკა, თეორეტიკა და სხვა. უკანასკნელ ფურცლის თავში სწერია: წ~ას მონასტერს მიკელ დ~ო გარეჭსჯას, თებერვალს, თ, (ქ~ს), უᲐ (1777), ერთი ხონელრათი არის, მთქმელს არ აცხადებს, შუადგილს არის, დიდის კოსტანტინეს ქვეშო (მოევანილია ამონაწერები ხრონოდრაფიდან). აქვე არის იამბიკონნი თქმული წ~ისა ე~ნე ოქროპირისა.

42. რქა ცხოვრებისა, დასაწყისი: სოლომონ ლექსთა სიბრძნეთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალამ მმექმე. ბოლოს უწერია: ძალითა ღისათა სრულ ვყავ წიგნი ესე **მეფობასა ირაკლი მეორისსა მე სოლომონ,** ოდეს ვიყავ წლისა ოცდა ერთისა წელთა... თთვესა დეკემბერსა. ამას ქვემოთ სწერია: ზანდუკი წიგნისა ამის, რომელსა ეწოდების რქა ცხოვრებისა: სულისა წმინდისათჳს; ნათლის დებისათჳს; ზიარებისათჳს; განწმედელისათჳს; იოსების ქალწულებისათჳს.

43. იოანე პეტრიწის ნაქუსნი, კავშირის ბოლოს დართულნი, განცალკევებული რვეული. მიუძღვის ასეთი წინასიტყვაობა:

სათნადოა უწყებად შენდა ამას მკითხველსდა, რო ნაქსუნი ესე როსა ჴსჭურეტ, ინეს მიერ არს თქმული, ქართულსდისა ფილოსფოსისა, როსა ნართაულებ ზედ ეწოდა პეტრიწი. სიმკაცრით გამოძიებისთჳს წერილთასა, როსა ჴყოფდა: რი იყო ნათესავით ქართულსდი, სანახებთაგან სამცხესა, დაბით **ჭირჭიმით**[1]); ჱ სხუა ვინაობა ანუ სადაობა მისი არა საცნაურ ჩნდა. მხოლოდ ესე გუსჭუწყების, რო ათინას იყო წურთილი, და ზედ მიწევნით მეტუნე სიბრძნეთა მუნებურთა, ვა წამებულ ნაქუსნი მისნი, რნი მრავლითა სიბრძნითა საგსედ იხილუსბიან და ესა დღეობითა კეთილ კელოვნურად, როთაგანი ერთი არს ესე **კავშირი** მის მიერ გარდმოსებული ელდინთა ენისაგან ქართულსდთა კმასა, თჳს მიერ აკსნითა. ვა ადმოიჩვენობს: როსა სიკეთე ფლ არს: და ესე **ნაქუსი** ბოლოს დაუდვიესეე შლ კავშირისა, როი ესე აწ ადიწერა ცალ კერძ კიდე მისგან, კელითა უგლახაკესისა **ხუცეს-მონაზონისა გერმანე უდაბნოურთაგანისა,** ჟა მას ოდეს სასწავლოთა შა ვიქცეოდი კელსა ქუსშე **ნეკრესის ეპისკოპოსისა** მოძღურისა და უფ ჩემისა უსამღუდელოესისა **დოსითეოსსა**; ქალაქ-სოფელსა **თელავს**: ქეს შლ **ჩღაგ**.

დასაწყისი: **იოანე პეტრიწისა.** (ეს ასომთავრულის გრეხილით სწერია).

(ჩ)უსნ შორისიმე მიდმო სხუა როსა გულის შორისად მჭობლად ვიტყჳთ, ვითარ ვისაღმე საწყანი საწყანელთად, და ვითარ ქუაფ, რომელისა მიერ განურჩევენ. სიკეთეთა ოქროსა: ესე სახედ დაჴსდუ

---

[1]) ეხლა ცხადია, რომ იოანეს წოდება ყოფილა ჭირჭიმელი და არა ჭიმჭიმელი. აგრეთვე ცხადია, თუ საიდან წარმოსდგა ეს წოდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მიჩუსნ შორისა მმექმან ჩუსნმან ღ᾽თნ: შორის მდებარეობით სიტეუს, და ნუ გარემოსილი და ორდანებრივი...

ბოლო:

ᲬᲐᲨᲘᲜ ᲜᲘᲨᲜᲐᲓ (ᲜᲘᲨᲜᲔᲑᲐᲓ, ᲬᲝᲓᲔᲑᲣᲚᲗᲐ ᲫᲕᲔᲚᲗᲐ ᲐᲓᲒᲘᲚᲗᲐ ᲠᲐᲗᲛᲔ ᲒᲖᲘᲡᲐᲗᲐ, ᲓᲐᲡᲬᲛᲘᲓᲔᲡ ᲓᲐ ᲐᲛᲐᲗ ᲖᲔᲓᲐ ᲬᲐᲠᲬᲔᲠᲓᲔᲡ ᲡᲐᲫᲘᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲠᲐᲗᲛᲔ ᲓᲐ ᲐᲛᲐᲡ ᲐᲛᲘᲡᲗᲕᲡ ᲕᲔᲝᲗᲔᲓᲔᲡ, ᲗᲐᲜᲐᲓ ᲠᲐ ᲣᲬᲔᲝᲓᲘᲡ ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲛᲐᲜ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲐ ᲒᲖᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲬᲐᲠᲛᲒᲘᲗᲮᲣᲡᲚᲡᲐ ᲖᲔᲓ ᲬᲐᲠᲜᲐᲬᲔᲠᲘᲡᲐᲡ.

44 ᲡᲬᲐᲕᲚᲐ ᲔᲠᲗ ᲦᲕᲗᲐᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

45. ᲦᲕᲗᲐᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲕᲘᲐᲠᲔᲑᲐ, ᲐᲙᲚᲘᲐ 36 ᲗᲐᲕᲘ, ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘ 37—190.

46. ᲒᲐᲜᲩᲘᲜᲔᲑᲐᲲ ᲓᲐ ᲛᲡᲯᲐᲕᲠᲘ ᲡᲐᲛᲝᲥᲘᲥᲣᲚᲝᲲ ᲖᲔᲛᲝᲲᲡᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲲᲡᲐ ᲛᲐᲛᲐᲗ ᲛᲗᲐᲕᲠᲘᲡᲐ ᲐᲜᲢᲝᲜᲘᲡ ᲛᲬ᾽Რ, ᲓᲐ ᲔᲞᲘᲡᲙᲝᲞᲝᲡᲗᲐ. ᲡᲐᲛᲔᲣᲤᲝᲡᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲡ ᲢᲔᲘᲚᲘᲡᲡ, ᲑᲐᲚᲐᲢᲡᲐ ᲡᲐᲙᲐᲗᲐᲚᲘᲙᲝᲡᲗᲐᲡ ᲨᲔᲙᲠᲔᲑᲝᲚᲗᲐᲒᲐᲜ, ᲖᲐᲥᲐᲠᲘᲐᲡᲗ᾽Ს ᲮᲣᲪᲘᲡᲐ, ᲓᲐ ᲕᲘᲔᲗᲗᲐᲛᲔ ᲛᲘᲛᲓᲒᲝᲛᲗᲐ ᲛᲘᲡᲗᲐ, ᲪᲮᲐᲓᲐᲓ ᲓᲐᲛᲝᲠᲒᲝᲚᲜᲝᲚᲔᲗᲐ ᲡᲯᲝᲚᲗᲐ ᲡᲐᲦᲛᲠᲗᲝᲗᲐ: ᲓᲐ ᲛᲐᲛᲐᲗᲐ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡᲗᲐ:

ᲔᲡ ᲖᲐᲥᲐᲠᲘᲐ ᲒᲐᲜᲣᲒᲔᲗᲘᲐᲗ ᲛᲓᲕᲓᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲐ ᲨᲔᲣᲩᲕᲔᲜᲔᲑᲘᲐᲗ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜᲐᲪ ᲐᲜᲢᲝᲜᲘ I ᲙᲐᲗᲐᲚᲘᲙᲝᲡᲡ ᲛᲬᲕᲐᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲣᲬᲝᲓᲐ, ᲨᲔᲩᲕᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲐᲠᲐᲗᲝᲕᲔ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲙᲕᲔᲗᲘᲚᲘ ᲓᲘᲐᲙᲝᲜᲝᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲨᲕᲘᲚᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲘᲝᲡᲔᲑ ᲓᲐ ᲛᲝᲬᲕᲐᲝᲕᲔ ᲛᲘᲡᲘ ᲘᲡᲐᲒ. ᲮᲔᲚᲡ ᲐᲬᲔᲠᲔᲡ ᲒᲐᲜᲩᲘᲜᲔᲑᲐᲡ:

ᲐᲜᲢᲝᲜᲘ ᲬᲣᲐᲚᲝᲑᲘᲗᲐ ᲦᲘᲡᲐᲗᲐ ᲛᲓᲐᲑᲐᲚᲘ ᲐᲠᲮᲘ-ᲔᲞᲘᲡᲙᲝᲞᲝᲡᲘ, ᲙᲐᲗᲐᲚᲘᲙᲝᲡᲘ ᲛᲪᲮᲔᲗᲘᲡᲐ, ᲡᲐᲛᲔᲣᲤᲝᲡᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲜᲘᲡ ᲖᲔᲛᲝᲲᲡᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲣᲚᲝᲲᲡᲐ:

ᲛᲓᲐᲑᲐᲚᲘ ᲛᲘᲢᲠᲝᲠᲝᲞᲝᲚᲘᲢᲘ ᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲲᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲝᲠᲘᲡᲐ ᲙᲘᲠᲘᲚᲔ.

ᲛᲓᲐᲑᲐᲚᲘ ᲛᲗᲐᲕ᾽Რ-ᲔᲞᲘᲡᲙᲝᲞᲝᲡᲘ ᲑᲔᲡᲐᲠᲘᲝᲜ.

ᲛᲓᲐᲑᲐᲚᲘ ᲛᲘᲢᲠᲝᲠᲝᲞᲝᲚᲘᲢᲘ ᲢᲔᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲤᲝᲠᲔ.

ᲛᲓᲐᲑᲐᲚᲘ ᲛᲦᲣᲓᲔᲚᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲜᲘᲜᲝᲬᲛᲘᲓᲘᲡᲐ ᲡᲐᲑᲐ ᲬᲐᲕᲡᲬᲠ.

ᲛᲓᲐᲑᲐᲚᲘ ᲛᲦ᾽ᲓᲔᲚᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲣᲘᲡᲘᲡᲐ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔ.

ᲛᲓᲐᲑᲐᲚᲘ ᲔᲞᲘᲡᲙᲝᲞᲝᲡᲘ ᲛᲐᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡᲐ ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲝᲖ.

47. ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲜᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲐᲜᲘ. ᲔᲠᲗ ᲐᲦᲒᲘᲚᲡ ᲣᲬᲔᲠᲘᲐ: ᲜᲙ᾽ᲖᲛᲐ (ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖᲛᲐ) ᲘᲥᲓᲐᲓᲒᲐ Ქ᾽ᲯᲡ ᲣᲜᲓ (=**1766 Წ.**) ᲙᲝᲠᲪᲘᲔᲚᲘᲡ ᲙᲕᲘᲠᲘᲐᲙᲔᲡ. ᲛᲝᲭᲣᲕᲐᲜᲘᲚᲘᲐ ᲥᲐᲓᲐᲒᲔᲑᲐ.

48. ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ, ᲐᲠᲐᲙᲔᲑᲘ, ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲔᲑᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲗᲘᲗᲕᲔᲜᲘᲓᲐᲛ ᲐᲛᲝᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

49. განწესება ეპისკოპოსისა და წირვის წესებისა სხვა და სხვა დღეს. ერთ ადგილას სწერია:

ამა ქ^კნს 1777 წელს რომ შობა ორშაბათს არის, ამის წინას პარასკევს ათორმეტისათვის დავწეროთ. აქვე ცნობები მეფეების და ბატონიშვილების დაბადების და გადაცვალების დღეებზედ:

ეოვლისა საქართველოს **მეფის ირაკლის** დღე დაბადებისა **ოკდომბერს ზ**, სერგის და ბაქოს პატრიარხისა.

დარეჯან დედოფლის შობის დღე **ივლისს: კ:**

ბატონიშვილის გ^ისა დაბადება **ოკდომბერს: თ:**[1])

ამისი მეუღლის **მარიამის** დაბადებისა დღე (არ არის ნაჩვენები[2]).

ლეონისა, ფებერვალსა ა: ლეონის მიცვალება **ფებერვალს ე**, მეზვერის პარასკევს. ამათი მეუღლის ნინასი ნ^ნბრის: **იე:** დაბადებისა[3]).

იულონისა (არ არის ნაჩვენები[4]).

ვახტანგ ბატონიშვილის შობის დღე **ივნისის კბ**[5]).

თეიმურაზისა, რომელ იქმნა საქართველოს პატრიარხ, მეფის ირაკლის ძე **ანტონი** 1788: ამის შობის დღე **იანვარს ცბ**[6]).

მირიანის დაბადება: **აგვისტოს ით**[7]).

---

[1]) დაბადების დღეები და თვეები ირაკლი მეორისა, მისი მესამე მეუღლის დარეჯანისა და შვილის გიორგისა არ არიან აღნიშნულნი ბროსსეს გენეალოგიურ ტაბულაში (H. G. II, 2, p. 638—636). ზემო ნაჩვენები თარიღები ამ ნაკლს ავსებენ.

[2]) მარიამის დაბადების დღედ ცნობილია 9 აპრილი (ibid. p 636).

[3]) ირაკლის ძის ლეონის დაბადებას პაპუნა ორბელიანი უჩვენებს თებერვალში, 1756 წ., მაგრამ რიცხვი თვისა არ მოჰყავს. მიცვალება მართლა 5 თებერვალს იყო 1781 წ. (ibid.).

[4]) ირაკლის ძის იულონის დაბადებას ბროსსე უჩვენებს 4 ივნისს 1760 წ. (ibid.).

[5]) ეს თარიღი არ არის ცნობილი, წელი ნაჩვენებია 1761 (ibid.).

[6]) დაიბადა 1760 წელს, კათალიკოსათ ეკურთხა 1788 წ. შობის დღე ცნობილი არ იყო (ibid.).

[7]) არ არის ნაჩვენები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრესი (არ არის ნაჩვენები[1]).

ფარნავაზისა (არ არის ნაჩვენები[2]).

ნეტარხსენებულისა მეფის **თეიმურაზის** მიცვალება **იანვრის ᲩᲨ**[3]).

ბატონიშვილის ვახტანგის მიცვალება **თებერვალს ა**[4]):

იოანეს გლახას მიცვალება **აგვისტოს დ**:

თინიას მიცვალება: **იანვრის კᲩ**.

ზაქარიას დაბადება **იანვრის კბ**. ამისი **ნინიასი — ივლისს ა**: **დათუასი — სეკდ: ე, ილიასი — აპრილს ზ**[5]).

უწმინდესის დის **მარიამის** მიცვალების დღე **ივლისს კბ**, მარიამ მაგდალინელას დღეს.

მეორეს დის **ანასტასიას** მიცვალების დღე **აგვისტოს დ**: შვიდთ ურმათ ეფესელთ[6]).

აქვე უწერია: ქ᾽კს **უპ** (1792): **ნოემბერს ლ**, ანტონი ნეტარმან უწმინდესმა წირვას უკან ემთხვივნენ ტრაპეზსა ᲜᲓ კრებული და მერმე თვითან და გაბძანდა. დკ᾽ნ გეხენ: და თვით კ᾽ხრს ღ᾽ი ᲩᲜ᾽ი, მწიგნობარმან: ᲜᲜ მდ᾽ით თაყნის...

50. განგება მტირისა მწუხრისათვის.

51. ლოცვა ქორწილის დამისა.

52. კურთხევა შეგირდისა.

---

[1]) ბატონიშვილი ალექსანდრე, ირაკლი II ძე, გადაიცვალა სპარსეთში 1844 წ. მისი დაბადების დღე არც სხვა წყაროებშია მოხსენებული. აღნიშნულია მხოლოდ, რომ 1800 წელს ის იყო 29 წლის (ibid.).

[2]) არც ამ ფარნავაზის, ირაკლის ძის, დაბადების დღეა ცნობილი. 1800 წ. ის იყო 25 წლის (ibid.).

[3]) თეიმურაზ II მიცვალება სხვა ცნობით 8 იანვარს იყო 1762 წ. (ibid.).

[4]) აქ ლაპარაკი უნდა იყოს ირაკლი მეორის შვილზედ, ვახტანგზე, რომელსაც ცოლათ ყავდა კოსტანტინე მუხრან ბატონის ქალი ქეთევანი. ეს ვახტანგი გადაიცვალა 1756 წ. 18 თუ 20 წლისა. მისი გადაცვალების დღე ცნობილი არ იყო (ibid.).

[5]) ამ სამს პარაგრაფში მოხსენებულნი პირნი არ ვიცით, ვინ არიან.

[6]) მარიამ და ანასტასია უნდა იყვნენ იესე მეფის ქალები, ანტონ I კათალიკოსის დები. მათი გადაცვალების დღეები და წელი ბროსსეს ტაბულაში აღნიშნულნი არ არიან (ibid., p. 628).

ეროვნული ბიბლიოთეკა

53. დაუჯდომელი, რომლის სათაური არის: ითარგმნა აკათის ტო ესე (რომელ არს დაუჯდომელი) ქართულსა ენასა ზედა, მდუდელ მონაზონისა **უ^ისა გავრიილ მთაწმინდელისაგან** და ქართულ სიტყუაობასა ზ^ა შეწყობილ იქმნა დუ^წითა და შრომითა **გიორგი ნათლის ძისაითა:**

54. გალობანი წ^ისა ნინასი ლიტანიად.

55. დაუჯდომელი ჯ^ისა ბერძულისაგან თარგმნილი ქართულად.

56. ბარაკლისი სავედრებელი ღირსისა მამისა ჩ^ნისა დ^თ გარეკსჯელისა.

57. თხოვანი ღვთისა მიმართ ანუ განზრახვანი, რომელს სათაური აქვს: ზაქარიამან ე^დ უღირსმან ხუცეს-მოძღვარმან, ბ^ სქესით ვ^ემე გაბაონმან უფერადოთა ლექსთა მიერ მდაბიურთა ენათა ზ^ა ადგწერე ექვს ნაწილედად თხოვაჲ ესე ღ^ჲ მიმართ.

58. სხვა და სხვა ლოცვანი. ესე ლოცვა სიკვდილს წარმოგიუენებს თუალთა წ^ე.

59. წმიდათა შორის მამისა ბასილი მთავარეპისკოპოსისა კესარია-კაპადუკიისა მოთხრობაჲ ეკლესიებრივი და საიდუმლოებითი. ცალკე რვეული, დაწერილია ხუცურათ წვრილი ნუსხა ხელით.

60. ფსალმუნის თარგმანი.

61. სწავლანი გამოკრებულნი სიბრძნისაგან და იგავთა სოლომონისთა, ისო ზირაქისთა, სამოციქულოსა და კათოლიკისაგან. ცალკე რვეული.

62. კანონები გამოკრებულნი ვახტანგ მეფის სამართლის წიგნისაგან და ლეონ ბატონიშვილის და ვახტანგ ბატონიშვილის მთებში დადებული განჩინებანი. ბატონიშვილის ვახტანგის განაჩენი დადებულია მკათათვის კე, ქ^კს უო (=1782 წ.*).

63. ზნეობრივი სწავლანი სადმთო წერილიდან გამოკრებილნი.

---

*) ლეონ ბატონიშვილის და ვახტანგ ბატონიშვილის მიერ მთებში დადებული განჩინებანი დაბეჭდილია ჩვენ მიერ საქართველოს სიძველენის I ტომში № 194, გვ. 203 –208. ტექსტი არაფრით არ განირჩევა ჩვენი დაბეჭდილი ტექსტისაგან, ხოლო აქ განჩინების თარიღად ნაჩვენებია მკათათვის 25 რიცხვი 1782 წ., ხოლო ჩვენს გამოცემაში ოქტომბრის 14 იმავე წლისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამას შემდეგ ჩაკერებულია ერთი ფურცელი ირაკლის დროს დაბეჭდილის წიგნის სათაურისა, რომელზედაც სამებაა გამოხატული და ირგვლივ აწერია: სამებაო წმიდაო ადიდე მადიდებელი შენი ბეჭდისა ამის მეორედ განმაახლებელი მეფე სრულიად საქართუელოჲსა ირაკლი.

64. თქმული გრიგორი ნოსელისა მეათორმეტისა თავისათ᾽ს გამოძიება სუნჯისათ᾽ს ბუნებისა და სიტყუჲ ბუნებითი სიცილისათ᾽ს და ტირილისა.

65. იამბიკონი ლოცვამან ანნასა ᲬᲐ სახელსა ᲬᲐ თქმული მდაბლისა არქიდიაკონ მოხაზონისა კირილესი. ᲮᲐᲢᲐᲠᲐ განცალკეგებული რვეული.

66. სხვანი იამბიკონი ანტონ I კათალიკოზისა ცალკე რვეულზე.

67. ბოლოს უწერია:

განვედ, Ჯ ირაკლი მეფეო ᲮᲐᲜᲒᲠᲐᲢᲘᲗᲝ, ლოცვისა მ᾽რთ, რ᾽ ღ᾽ისა მიმართ არს განსლვაჲ; დადეგ ᲕᲐ დასჯილი ᲬᲔ მსაჯულისა და ღ᾽ისა, რ᾽ა წყალობისა მისისა ვაზსა ᲬᲐ მოისთუალნე შენდობისა ტევანნი, Ჯ ᲥᲔᲡ მიერ ქუᲬᲚ სიტყუო, ამინ.

შენ ხარ ვენაკი, ახლად ადუვებული,
ნორჩი კეთილი, ედემს შინა ნერგული,
ალვა სუნნელი, სამოთხეს ადმოსრული,
ღ᾽თინ შეგამკო, ვერავინ გჯობს ქებული,
და თავით თვისით მზე ხარ განბრწყინვებული.

68. კანონი ნიკიისა. იბ. და სხვა საეკლესიონი კანონები. ჩამოთვლა მსაჯულთა იერუსალიმისთა და მეფეთა იუდიანთა. რა ჯერ არს და რა არა ჯერ არს ეპისკოპოზისათჳს.

69. ვითარება ნათესავ-უნათესოვანესი. ქარტანი და გეოგრაფიული სახელების ახსნანი.

70. ეგუფადი, რომელ ადწერეს ᲬᲗᲐ წინასწარმეტყველთა და მამათმთავართა ᲣᲗᲐ მოციქულთა მᲦᲓᲔᲚთ-მოძღვართა. რათა არა მივიდოდეს მორწმუნენი კაცნი კითხვად და არცა*) მისანს ქერის მერელთათანა. უკეთუ იკითხვიდეთ, ვითაც მთვარემან მოგცეს, ეგრეთ იკითხვიდეთ, მამანო და ძმანო. დასაწყისი: ერთსა მთვარესა დდეოოველ იკითხე, ორსა ᲑᲚ ყამს იკითხე, სამს ნუ იკითხავ.

*) დედანში სწერია: რასაც.

Библиотека Читальня въ Тифлисѣ

71. კალენდრა. სამეცნიერო წელიწადისა, თუ ვითარნი იყვნეს ზედნადებნი. სამთვარიო მართალი და ჭეშმარიტი, კელის გაკსნისა სამთვარეო.

72. საეტლო მართალი და ჭეშმარიტი.

73. სიტყვანი მეცნიერებისნი ფილასოფოსთა ბრძენთა გამოკრებული.

74. მოთხრობა შიშველ-მართალთა და კსენება მათი.

75. ძვრისა და ქუხილისა, ელვისა და ცის სარტყელის გამოჩენისა. კალენდრა თქმული ეზრა წინასწარმეტყველისა.

76. ცნობები ათხაზთა მეფეების შესახებ, ანუ ეგრეთ წოდებული ათხაზეთის ისტორია ბაგრატისა.

77. მოკლე ცნობები საქართველოს ისტორიიდან. მოგვაქვს აქ სრულათ ორი უკანასკნელი სტატია.

ეგრეთ წოდებული აფხაზეთის ისტორია ბაგრატ მეფისა [1]).

„ქ. სახელითა მ(ა)მ(ა)თა **მე კოსტანტინე მეფემან**, ძემან სულკურთხეულის **ბაგრატ** ათხაზთა მეფისამან: ვპოე საჭურჭელსა **ქუთათის** ქუთათის მდივანი. მეფეთა შინა ეწერა სახელები მეფეთა და დაძველებულ იყო. და ახლად გარდავწერინე:

ბ(ა)ი მეფე ათხაზეთისა იყო ანოს: მეორე შვილი მისი დოზარ: მესამე შვილი მისი ისტვინე: მეოთხე შვილი მისი ფინიკტიოს: მეხუთე შვილი მისი ბარუკ. მეექვსე შვილი მისი დიმიტრი: მეშვიდე შვილი მისი თეოდოსი[2]): მერვე შვილი მისი კოსტანტი: მეცხრე შვილი მისი თეოდორე: მეათე შვილი მისი კოსტანტინე: მეათერთმეტე ძმა მისი ლეონ: რ(ა)ნ (რომელმან) დაყო მეფობასა შინა თჳსსა წელიწადი ორმოცდახუთი: მეათორმეტე (შვილი მისი) თეოდოსი: რ(ა)ნ დაყო მეფობასა შინა თჳსსა წელიწადი ოცდაშვიდი: მ(ე)ათსამეტე ძმა მისი დემეტრე. მეფობდა ოცდა თექვსმეტ წელ: მეათოთხმეტე ძმა მათი გიორგი მეფობდა, რომელს საუფლისწულოდ ადწუფი ჰქონდა:

---

[1]) ორ-ორ წერტილს დედნისას ვტოვებთ, სხვა ნიშნებს ვასწორებთ.

[2]) დედანში სწერია შეცდომით: დეოდოსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ამისოჯს ეწოდა მას გიორგი ადწუფელი: ამან იმეფა შვიდ წელ: მეთხუმეტე შვილი დემეტრესი ბაგრატ. მეფობდა თორმეტ წელ: მეათექვსმეტე შვილი (მისი) კოსტანტი. მეფობდა ოცდაცხრამეტ წელ: მეათშვიდმეტე შვილი მისი გიორგი. მეფობდა ორმოცდახუთ წელ: მეათვრამეტე შვილი მისი დეონ. მეფობდა ათ წელ: მეათცხრამეტე ძმა მისი დიმიტრი. მეფობდა რვა წელ: მეოცე ძმა მისი თეოდოსი თვალ-დამწვარი. მეფობდა სამ წელ. და ამათსა შ^ოლ ინება ღ^ოთნ და დავიპყარ მე ქ^ოანა (ქვეყანა) ათხაზეთისა, დედული ჩემი, **ბაგრატ** ბაგრატოანმან, ძემან სულ-კურთხეულისა **გურგენისამან**, და ასულის წულმან **გიორგი** ათხაზთ მეფისამან: და თუ მე რაოდენთა წელთა დავეოფ მეფობასა ჩემსა, ეს ღ^ონ უწყის“:

შემდეგ მიმატებულია:

„ნ (ხოლო) მეფობდა ესე ბაგრატ ოცდა ათექვსმეტ წელ და შ^ოლ (შემდგომად) იმისსა მეფობდა (შვილი მისი) გიორგი ათცამეტ წელ და ხუთ თვე“.

ეს სტატია განიეოფება სამ ნაწილათ. პირველი შეიცავს შესავალს, რომელიც ეკუთვნის **კოსტანტინე** მეფეს, ძეს **ბაგრატ** ათხაზთა მეფისას. შესავალი გვამცნევს, რომ ნუსხა ათხაზთა მეფისა დაცული ეოფილა ქუთაისის საჭურჭლეში მდებარე ქუთათის **მდივანში**, მაგრამ ამ **მდივანში** მოქცეული მეფეთა სია[1]) ყამთა ვითარე-

---

[1]) ჩვენ არ ვლებულობთ თავის თავზედ სიტყვა **მდივნის** სრულს განმარტებას. შევნიშნავთ მხოლოდ, რომ ტექსტის აზრით აქ **მდივანი** უნდა ნიშვნიდეს სახელმწიფო დავთარს, რომელშიაც შეტანილნი უნდა ყოფილიყვნენ ყოველგვარი სახელმწიფო აქტები, განჩინებანი, განწესებანი და სხვა და სხვა ცნობები. მე-XVII და მე-XVIII საუკუნოებიდან ჩვენამდის მოაღწიეს ეგრეთ წოდებულმა **სამდივნო წიგნებმა**, რომლებშიაც აუარებელი ცნობებია შეტანილი, მაგალითათ, როგორ უნდა დაიწეროს სიგელი, როგორ უნდა მიეწეროს მეფეთა, დედოფალთა, ბატონიშვილთა, კათალიკოსთა, ეპისკოპოსთა, ერისთავთა, დიდებულთა, სწორამხანაგთა. როგორ უნდა დაიწეროს მზითვის სია, განჩინებანი, საფლავის წარწერანი, ციხის და ეკლესიების წარწერანი და სხვა. მაგრამ ამგვარი სამდივნო წიგნები კერძო ხასიათის არიან, პრაქტიკულის მიზნით შედგენილნი, როგორც რუსული письмовникъ-ები, სახელმძღვანელოთ მდივანთა და მწერალთა. სახელმწიფო მდივანი კი სხვა ხასიათის დავთარი ყოფილა სახელმწიფო მნიშვნელობისა და ამიტომ სახელმწიფო საჭურჭლეში ყოფილა შენახული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის გამო დაძველებულა და **კოსტანტინე** მეფეს გადუწერინებია? ვინ უნდა იყოს ეს **კოსტანტინე** მეფე, ძე **ბაგრატ** აფხაზთა მეფისა? ჩვენის აზრით აქ ხსენებული **კონსტანტინე** არის მეფე **კონსტანტინე** II, ძე **ბაგრატ** მე-V-ისა დიდისა, რომელიც მიდებულის ცნობით გადაიცვალა 1414 წელს.

მეორე ნაწილი შეიცავს თვით ნუსხას აფხაზთა მეფეებისას. ნუსხა შეუდგენია, ანუ უკეთ ვსთქვათ, გამოუქვეყნებია, როგორც ბოლოში მოხსენებულია, **ბაგრატ** ბაგრატონიანს, **გურგენის** ძეს და ასულის წულს **გიორგი** აფხაზთა მეფისას. ეს ბაგრატი, რადა თქმა უნდა, არის მეფე **ბაგრატ** III (980—1014), რომელმაც შეერთა და ერთ სამეფოთ გახადა აფხაზეთი და ქართლი. ამ ბაგრატიდან იწყება განსაკუთრებული სიძლიერე საქართველოს სამეფოსი. ეს იყო ძე **გურგენისა**, რომელიც ცნობილია სუმბატის ისტორიაში მეფეთ მეფის წოდებით. **გურგენს** ცოლად ჰყავდა აფხაზეთის მეფის **გიორგი** II-ის ქალი **გურანდუხტ** († 1008), მაშასადამე **ბაგრატ** III ასულის წულია **გიორგი** აფხაზთა მეფისა და აფხაზეთი მისი დედულია, ანუ დედულეთი. აქედან სჩანს, რასაც **ბაგრატი** მოგვითხრობს თავის თავზე ნუსხის ბოლოში, მართალია. მიდებულის ქრონოლოგიით **ბაგრატი** გამეფდა აფხაზეთში 980 წელს, ხოლო ქართლში 985 წელს. ძველ დროში მისრეთში, ბაბილონში, ასურეთში და სხვა ქვეყნებში ჩვეულებათ იყო, როდესაც ახალი დინასტია თუ შთამომავლობა ადვიდოდა ტახტზედ, განცალკევებულს აქტში ანუ წარწერაში მოიყვანდა სიას მისი წინამოადგილეებისას მომავალთა საუკუნეთ. ასე მოქცეულა ბაგრატ მესამეც. მას შეუგრებია ცნობები თავის წინამოადგილეების შესახებ აფხაზეთში და შეუნახავს მომავალთათვის. მაგრამ, რასაკვირველია, ეს ისტორია არ არის, არამედ აქტია, მანიფესტია, რომლითაც ის გვამცნევს მის მიერ კანონიერად გამეფებას თავის დედულეთში, ესე იგი აფხაზეთის სამეფოში, და იხსენიებს ყველა თავის წინამოადგილეებს. ეს აქტი ანუ მანიფესტი მეათე საუკუნეში ქუთათის **მდივანში** შეტანილი შენახული ყოფილა ქუთაისის სამეფო არხივში, ანუ საჯურჯლეში, და რადგანაც დროთა ვითარების გამო დაძველებულა, მეფე კოსტანტინე მეორეს განუახლებია, ანუ გადუწერინებია მეთუთხმეტე საუკუნის დამდეგს და ამგვარათ მოდწეულა ჩვე-

ნამდის. რომ აქტი, ანუ ნუსხა მართლა ბაგრატ მესამის მიერ ოდის ხირველთა შედგენილი და გამოქვეყნებული, ამას ცხად ეოფს ბაგრატის სიტყვები: „ინება ღმერთმან და დავიპყარ **მე** ქვეყანა ათხაზეთისა, დედული ჩემი, **ბაგრატ** ბაგრატონიანმა, ძემან სულ კურთხეულის **გურგენისამან** და ასულისწულმან **გიორგი** ათხაზთა მეფისამან, და თუ **მე** რაოდენთა წელთა დავეოფ მეფობასა ჩემსა, ეს ღმერთმან უწყის“.

უკანასკნელი ნაწილი სტატიისა, რომელიც შეიცავს ცნობას, თუ რამდენი წელი იმეფა ბაგრატ მესამემ და მისმა შვილმა გიორგი ხირველმა, მიმატებულია შემდეგ დროში თანხმად ქართლის ცხოვრების ცნობებისა.

ათხაზეთის ისტორიის შესახებ ცნობები ჩვენ მოგვეპოვება ქართლის ცხოვრებაში. ქართულს ენაზედ ძველათ ეოფილა „ათხაზეთის ცხოვრება“, ანუ „ცხოვრება ათხაზთა მეფეთა“, რომლიდგან, უნდა ვიფიქროთ, შეტანილია ქართლის ცხოვრებაში ბევრი ცნობები ათხაზეთის ისტორიის შესახებ. ამ აზრს ცხად ჩეოფს ერთი ადგილი მარიამ დედოფლის ქართლის ცხოვრებისა, სადაც მოთხრობილია ბრძოლა ათხაზთა მეფის კონსტანტინე I შვილებისა, გიორგი II-ისა და ბაგრატისა, რომელიც გათავდა გიორგის გამეფებით (923—958). აქ ვკითხულობთ: **„და იყო მათ შორის ბრძოლა ფიცხელი, რომელი თკთუეულად ჰპო(ო) ცხოვრებასა მათსა“** [1]) მხოლოდ ჩვენ არ ვიცით, ვისი შედგენილია ეს „ათხაზეთის ცხოვრება“, რომელსაც ჩვენამდის არ მოუღწევია. ამდენხანს გვეგონა, რომ ბაგრატ III არის ავტორი ათხაზთა ისტორიისა და ეს ისტორია ვითომ ხელში ჰქონებოდეს იერუსალიმის პატრიარხს დოსითეოსს და მისგან გამოეკრიბოს ცნობები ათხაზეთის მეფეების შესახებ. მაგრამ ეს აზრი არ მართლდება. შეიძლება ბაგრატ III მართლა იყოს ავტორი ვრცელის ათხაზეთის ისტორიისა, მაგრამ ჩვენ თამამათ შეგვიძია ვთქვათ, რომ დოსითეოსს ეს ვრცელი ისტორია არ ჰქონია ხელში. ის, რასაც დოსითეოსი „ბაგრატის ათხაზთა ისტორიას“ ეძახის, არის ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი ნუსხა ათხაზთა მეფეებისა, რომელიც მართ-

---

[1]) მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 228.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და შედგენილი და გამოქვეყნებულია ბაგრატ მე-III-ის ძიერ ბაგრატ
საუკუნეში. დოსითეოსის ცნობები აფხაზეთის ისტორიის შესახებ
შეიცავენ სრულს თარგმანს იმ ნუსხისა, რომლის ქართული ტექსტი
ჩვენ ზემოთ მოგვეგანეთ. ხოლო რამოდენიმე საკუთარი სახელი შეცვ-
ლილი არის მოყვანილი დოსითეოსის ნუსხაში, ისე როგორც ჩვენ ქარ-
თულს ნუსხაშიც მოიპოვება შეცთომები ზოგიერთ სახელების გადმო-
ცემაში. უცხოელი ქართულის ენის უცოდინარობის გამო და აგრეთვე თა-
ვის ენის ანბანის საშუალებით ეოველთვის სისწორით ვერ გადმოგვ-
ცემს ქართულ სახელებს. ამიო აიხსნება მცირეოდენი განხხვავება
საკუთარ სახელების გადმოცემაში. ამას გარდა, როდესაც ერთი და
იგივე სახელი ბერძნულად სხვანაირათ გამოითქმის ვიდრე ქართულად,
დოსითეოსს, რასაკვირველია, ბერძნულის თორმით მოჰყავს სახელი
და არა ქართულის. ამ მიზეზების გამო ისტვინეს მაგიერ დოსითე-
სის ნუსხაში გვხდება იუსტინიანე (3); ფინიკტიოსის მაგიერ ფი-
ლიკტიოს (4); დიმიტრის მაგიერ დემეტრე (6, 19); კოსტანტი-
ნეს მაგიერ კოსტანტი (10), ასეთივე ფორმა ნახმარია ორჯერ ჩვენს
ნუსხაშიც (8, 16), ბაგრატის მაგიერ ბანკრას (15, 22). ფორმა
ბანკრატი ქართულშიაც იხმარება, ხშირად შეგვხდება ხოლმე ქართულ
წყაროებში ბანკრატოვანი ბაგრატოვანის მაგიერ. უფრო თვალსაჩინო
განსხვავებას წარმოადგენს დოსითეოსის **კაპარუკი** ჩვენი ნუსხის **ბა-
რუკის** მაგიერ (5). ამას გარდა დოსითეოსის ნუსხაში ერთი მეფეთ
მეტია ნაჩვენები, ვიდრე ჩვენსაში. ეს არის ანტარნასე-დავითი (21),
რომელიც ქართულის გამოთქმით იქნება ადარნასე-დავითი, და რო-
მელიც შვილის შვილია კოსტანტინე III-სა და მეფობს ბაგრატ მეო-
რის წინ [1]). ამ ანტარნასე-დავითის არც მამაა ცნობილი ნუსხაში და
არც დედის სახელი, არც ის არის ნაჩვენები, თუ რამდენი წელი
იმეფა. ამით აშკარათ ირღვევა გეგმა ნუსხისა [2]). ბაგრატ მეო-

---

[1]) აქ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს ბაგრატი აფხაზთა ისტორიის
სიაში მეორეა და ქართლისაში მესამე.

[2]) ადარნასე-დავითი ქართულ წყაროებში ცნობილი არ არის,
ცნობილია მხოლოდ ადარნასე, ძე იოანესი, რომელიც მოკლა 887 წელს
მისმა ბიძაშვილმა ბაგრატ I და გამეფდა აფხაზეთში (Additions, p. 175).

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის[1]) შემდეგ დოსითეოსის ნუსხით მეფობს დავითი 12 წელს, ჩვენი ნუსხით კი გიორგი III. ეს ცნობები შემდეგ არის მიმატებული, როგორც ზემოთ ვუჩვენეთ, ხოდო ჩვენი ნუსხის ცნობა მართალია და დოსითეოსისა შემცდარი. აგრეთვე შემცდარათ უნდა ჩაითვალოს დოსითეოსის ცნობა, ვითომც ბაგრატ II-ს მეფობა დაეწყოს 992 წ. ზოგიერთი სიტყვები ჩვენს ნუსხაში გამოშვებულია, მაგალითად, მეთორმეტე მეფის თეოდოსის წინ გამოშვებულია სიტყვები „შვილი მისი“ და მეთექვსმეტე მეფის კოსტანტინეს წინ გამოშვებულია სიტყვა „მისი“. ეს სიტყვები ჩვენ მიუმატეთ დოსითეოსის ნუსხის მიხედვით და ჩაგსვით ფრჩხილებში. თავის მხრით დოსითეოსის ნუსხაში არ არის აღნიშნული, თუ რამდენი წელი იმეფა გიორგი I აღწუფელმა. დიმიტრი მესამე მეფობს 26 წელს, ჩვენი ნუსხით კი 36 წ. ერთი სიტყვით, ეს ორი ნუსხა წარმოგვიდგენენ ვარიანტებს ერთი მეორისას და ერთი მეორეს ავსებენ. მოგვაკვს აქ შესადარებლად ნუსხა ჩვენის დედნისა და დოსითეოსისა. ხოდო აქ უნდა შეგნიშნოთ, რომ ბერძნული ტექსტი დოსითეოსის „იერუსალიმის პატრიარხთა ისტორიისა“ ჩვენ ტფილისში ვერ ვიპოვნეთ[2]) და ნუსხა მოგვაკვს ბროსეს თარგმანიდან, რომელიც Additions-შია მოყვანილი (გვ. 173). ესეგე ნუსხა არის წიგნში, რომელსაც ეწოდა Руководство къ познанію Кавказа М. С. кн. I (გვ. 26 – 27), მაგრამ აქაც ცნობები ამოღებულია არა პირდაპირ დოსითეოსის წიგნიდან, არამედ ბროსსეს თარგმანიდან, რომელიც მოთავსებულია Bullet. Scient.-ში t. V.

---

[1]) ამ ბაგრატის შესახებ ბროსსე შენიშნავს: Cousin d'Antarnas; etait-il aussi fils de George? ჩვენს ნუსხაში, როგორც დავინახეთ, ბაგრატ II თვითონ მოგვითხრობს, თუ ვინ არის ის.

[2]) ჩვენ მივმართეთ თხოვნით პატივცემულს პრივატ-დოცენტს ი. ჯავახიშვილს, მოენახა პეტერბურგში ეს თხზულება და მოეწოდებინა ჩვენთვის ბერძნული ტექსტი, მაგრამ წიგნი არ აღმოჩთა არც სამეცნიერო აკადემიაში და არც საჯარო ბიბლიოთეკაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ნუსხა:

1. ანოს.
2. ღოზარ.
3. ისტვინე.
4. ფინიკტიოს.
5. ბარუკ
6. დიმიტრი I.
7. თეოდოსი I.
8. კოსტანტი I.
9. თეოდორე.

10. კოსტანტინე II.
11. ლეონ I 45 წ.

12. თეოდოსი II. 27 წ.
13. დემეტრე II 36 წ.
14. გიორგი I. აღწუფელი, 7 წ.

15. ბაგრატ I, 12 წ.
16. კოსტანტი III, 39 წ.
17. გიორგი II, 45 წ.

18. ლეონ II, 10 წ.
19. დიმიტრი III, 8 წ.
20. თეოდოსი III, თვალდამწვარი, 3 წ.
№ ქალი (გურანდუხტი, გურგენის ცოლი).

21. ბაგრატ II, 36 წ.
22. გიორგი III, 13 წ. 5 თვე.

დოსითეოსის ნუსხა:

1. ანოს.
2. ღოზარ.
3. იუსტინიანე.
4. ფილიკტოს.
5. კაპარუკი.
6. დემეტრე I.
7. თეოდოსი I.
8. კოსტანტი I.
9. თეოდორე.

10. კოსტანტი II.
11. ლეონ I, 45 წ.

12. თეოდოსი II, 27 წ.
13. დემეტრე II, 26 წ.
14. გიორგი I, აღწუფელი.

15. პანკრას I, 12 წ.
16. კოსტანტი III, 39 წ
17. გიორგი II, 45 წ.

0

18. ლეონ II, 10 წ.
19. დემეტრე III, 8 წ.
20. თეოდოსი III, თვალდამწვარი, 3 წ.
21. ანტარნასე-დავითი.

22. პანკრას II, 992 წ. 36 წ.

23. დავითი, 12 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინაითგან აღნიშნულია, თუ რამდენი წელი უმეფია თითოეულს მეფეს ლეონ I-დან დაწყებული, ამიტომ ადვილი გამოსაანგარიშებელია, თუ რომელ წლებში მეფობდა დაახლოებით თითოეული მეფე ამ ნუსხისა. ხოლო უნდა ვიცოდეთ დანამდვილებით, რომელ წელს გამეფდა ათხაზეთში ბაგრატ II (ქართლის ბაგრატ III). მიდებული ქრონოლოგიით მისი მეფობა იწყება 980 წელს, მაგრამ ეს საეჭვოა: ჩვენ ვიცით, რომ ბაგრატი გადაიცვალა 1014 წელს[1]). მან იმეფა ჩვენი ნუსხის მიხედვით 36 წელი. ამას ეთანხმება სომხური ქრონიკაც. მაშასადამე ის გამეფებულა 978 წელს (1014—36=978). ამ წლის სინამდვილეს ამტკიცებს თარიღი შაორს დაწერილი მამათა ცხოვრებისა, რომელიც გადაწერილია „ინდიკტიონსა ბაგრატის მეფობისა კე, დასაბამითგანთა წელთა ხქზ, ქკს სკბ“ (Цагарели. Свѣдѣнія о пам. груз. письм. вып. I, стр. 83). ქრონიკონი უდრის 1002 წ., დასაბამითგან წელნი უდრიან ქართულის სათვალავით 1003 წ. (6607—5604=1003). თუ ამ უკანასკნელს გამოვაკლებთ 25 ინდიკტიონს, მივიღებთ 978 წელს, როგორც დასაწყისს ბაგრატ II-ის მეფობისას ათხაზეთში. ამიტომ ბაგრატის მეფობის დასაწყისათ ჩვენ ვიღებთ 978 წელს და ამის მიხედვით სხვების მეფობის დრო იქნება:

ლეონ I (746—791).
თეოდოსი II (791—818).
დემეტრე II (818—854).
გიორგი I (854—861).
ბაგრატ I (861—873).
კოსტანტი III (873—912)
გიორგი II (912—957)
ლეონ II (957—967).
დიმიტრი III (967—975)
თეოდოსი III (975—978).
ბაგრატ II (978—1014).

ათხაზეთი წინეთ ლაზიკის ნაწილს შეადგენდა და ლაზიკასთან ერთად კარგა ხანს იყო ბიზანტიელების სამფლობელო. 550 წლის ახლო ხანში, იუსტინიანე მეფის დროს, ათხაზები აუჯანყდენ ბიზან-

---

[1]) იხ. Три Хроники, стр. 161.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიელებს და თავიანთი მეფეები აირჩიეს, ადმოსავლეთ აფხაზეთში **ოფსიდე** და დასავლეთში **სკეპარნა**, მაგრამ ბიზანტიელებმა ეს ამბოხება მალე ჩაქრეს. ბროკოპი გესარიელის თქმით, აფხაზებმა ქრისტიანობა მიიღეს ამავე იუსტინიანეს დროს (529 წ.), მანამდის კი წარმართნი იყვნენ და უფრო ხეების თაყვანის მცემელნი. ჩვენს ნუსხაში მოხსენებულნი პირველნი მეფენი უნდა იყვნენ ბიზანტიელების მიერ დადგენილნი მმართველნი ანუ ერისთავნი აბხაზეთისა და არა მეფენი. ამათი სახელებიც ბერძნულია. ქართულის წყაროებიდან ჩვენ ვიცით, რომ აფხაზეთის ერისთავს ლეონ I-ს დამკვიდრებული ჰქონდა კეისრისაგან საერისთოდ აფხაზეთი კლისურიდან დიდის ხაზარეთის მდინარემდე. ამ ლეონის ძმისწულმან, ლეონ მეორემ დაიხმარა ხაზარები, უკუ-უდგა ბერძნებს ანუ ბიზანტიელებს, დაიჭირა მთელი ეგრისი ლიხის მთამდე და თავის თავი გამოაცხადა მეფედ აფხაზთა 786 წელს. აქედან დაწყებული ქართულ წყაროებში ჩვენ მოგვეპოვება უფრო დაწვრილებითი ცნობები აფხაზეთის ისტორიის შესახებ, რომელნიც შეტანილნი უნდა იყვნენ ქართლის ცხოვრებაში იმ „აფხაზეთის ანუ აფხაზთა მეფეთა ცხოვრებიდან“, რომელიც ზემოთ აღვნიშნეთ და რომელიც შეიძლება სადმე აღმოჩნდეს. მანამდის იმით უნდა ვინუგეშოთ, რომ გამოიკვლა რას წარმოადგენდა ეგრეთ წოდებული „აფხაზეთის ისტორია ბაგრატ მეფისა“, რომელსაც იხსენიებს იერუსალიმის პატრიარხი დოსითეოსი.

II

«მოკლე ცნობები საქართველოს ისტორიიდან» და შენიშვნები ამ ცნობების შესახებ.

უკანასკნელ ორ გვერდ ნახევარს ზემო განხილული ხელნაწერისა შეიცავენ მოკლე ცნობები საქართველოს ისტორიიდან. ამ სტატიას არავითარი სათაური არა აქვს დედანში. მუხლებათ დაყოფა ჩვენ გვეკუთვნის. სტატია იწყება ქრონოლოგიურის ცნობებით. მერვე საუკუნემდის დროს აღსანიშნავად მიღებულია რიცხვი დასაბამითგან სო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოდოისა ალექსანდრიულის სათვალავით, ან ნაჩვენებია წელიწადი ქრისტეს ამაღლებითგან. ასეთივე სისტემაა მიღებული ქართლის მოქცევაშიც და ჩვენის აზრით ეს ცნობები ამოღებულია ქართლის მოქცევიდან, ანუ მისი ვარიანტიდან, ბირდაბირ ანუ სხვა წყაროების საშვალებით (იხ. მუხ. 1—4). მერვე საუკუნიდგან ანუ უკეთ ვსთქვათ ბაგრატიონების გვარის გაბატონებიდან საქართველოში, იწყება წელთა აღრიცხვა ქართული ქორონიკონით. ასეთივე სისტემაა მიღებული ქართლის ცხოვრებაშიც. ცნობები ჩვენი წყაროსი იწყება ქართლის მოქცევიდან ნინოს მიერ მეოთხე საუკუნეში და თავდება რუსუდან მეფის სიკვდილით მეცამეტე საუკუნეში. ბირველის შეხედვით კაცს ეგონება, თითქო ეს ცნობები გამოკრებილი იყოს ქართლის ცხოვრებიდან, ხოლო თუ კარგად განვიხილავთ ფაქტებს, დავრწმუნდებით, რომ ბევრი ცნობები, განსაკუთრებით ქრონოლოგიური, ჩვენი ტექსტის ცალიდან არის შეტანილი ქართლის ცხოვრებაში. ამავე წყაროთი უსარგებლია ბატონიშვილს ვახუშტის თავის ისტორიის შედგენის დროს (იხ. მუხ. 22, 23, 25), ასე რომ ეს ჩვენი ტექსტი ისტორიული ცნობებისა არის ერთი წყაროთაგანი როგორც ვახუშტის ისტორიისა, ისე ვახტანგის რედაქციის ქართლის ცხოვრების ვარიანტებისა. ქრონოლოგიური ცნობები დავით ალმაშენებელიდან რუსუდან დედოფლამდის ორჯერ არის მოყვანილი, ბირველად მოკლეთ, შემდეგ უფრო ვრცლად. თარიღები ერთი და იმავე ფაქტებისა ამ ორ ნაწილში სხვა და სხვაა. ეს იმის მომასწავებელია, რომ შემდგენელს სხვა და სხვა წყარო ჰქონია ხელში და ამ წყაროების ცნობები შეუსწორებლად მოუყვანია.

ბევრ საინტერესო ცნობებს გვაძლევს ეს ახალი წყარო ჩვენი ისტორიისა. ამაში მოხსენებულია სრულიად უცნობი მეფე, ზურაბ მეფე, დავით ალმაშენებელის შვილი, ჯ ალასტნელნი მეფენი დავით ჯ მელქისედეგ რუსუდან დედოფლის შემდეგ (მუხ. 29 და 31). საინტერესოა აგრეთვე ცნობები ანის ალებაზე დავით ალმაშენებელის მიერ ჯ ანის საკათედრო ტაძრის აშენებაზედ და ხელმეორედ კურთხევაზედ (მუხ. 22). წინეთაც იყო შენიშნული, რომ ეს საუდარი ქართულ-ბიზანტიურ ტაძარს უფრო ჰგავს, ვიდრე სომხურს, რომ ეს მართლმადიდებელთა ანუ ხალკედონიტთა ტაძარი იყო და არა სომეხთ-გრიგორიანთა. მაგრამ რაკი ამშენებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტაძრისა დედოფალი კატრონიტე[1]) სომხის ქალაქი მიაჩნდათ, ანუ წარმოსადგენი იყო, რომ სომხის ქალს, სომეხთ-გრიგორიანის სარწმუნოებისას, მართლ-მადიდებელთათვის აეშენებიოს ტაძარი. ეხლა ირკვევა, რომ ეს დედოფალი ბერძენთა მეფის ასული ყოფილა და მაშასადამე მართლ-მადიდებელი და, რაღა თქმა უნდა, მართლ-მადიდებელთათვის აეშენებდა ეკლესიას. ამ ცნობას უფრო კარგად გამოიყენებს ბრიუსორი ნ. მარრი, რომელსაც ანისის სიძველენი ზედმიწევნით შესწავლილი აქვს, და ამიტომ ამაზედ ბევრს აღარ შევჩერდებით.

ძრიელ საეურადღებოა აგრეთვე ცნობა, რომ ბაგრატიონთ დინასტია საქართველოში იწყება „მეათცამეტე მოქცეულსა ქორონიკონსა შინა“, ესე იგი 780 წლიდან და აგრეთვე ის, რომ პირველ ბაგრატიონთა საქართველოში ნაჩვენებია ადარნასე. ამ ხუთიოდე წლის წინად, როდესაც ტფილისში კავკასიის შესწავლის კურსები დაარსდა, ჩვენ წავიკითხეთ საჯარო ლექტია ქართული წელთა თვლის და ბაგრატიონთ გამეფების შესახებ საქართველოში. ჩვენი დასკვნა ასეთი იყო: 780 წლამდის საქართველოში წელთა აღრიცხვა იყო დასაბამითგან სოფლისა და ქრისტეს დაბადებითგან ანუ ამადლებითგან. ამას გარდა წელთა რაოდენობას უჩვენებდენ კიდევ რომელიმე თვალსაჩინო მოვლენიდან საქართველოს ისტორიაში, მაგალითად ქართლის მოქცევიდან, ვახტანგ გურგასლის მეფობიდან, სვეტი ცხოველის აღშენებიდან, მირიან მეფის გადაცვალებიდან და სხვა. დასაბამითგან სოფლისა ქრისტეს დაბადებამდის პირველად მიღებული იყო ალექსანდრიის თარიღი 5500 წელი, შემდეგ მიიღეს ბერძნების სათვალავი 5508 წ., ხოლო 780 წლითგან იწყეს წელთა აღრიცხვა ქორონიკონის

---

[1]) ვახუშტით კატრონიკა (გვ. 183). სომხური წარწერით ტაძარზედ კატრანიდე (Эминъ. Армянскія надписи въ Карсѣ и Ани, 1881 г. Москва, стр. 11). წარწერაში 1010 წლისა ეს დედოფალი, გაგიკ I ცოლი, სივნიეთის მეფის ვასაკის ასულათ იხსენიება (ibid). ვარდან დიდიც სივნიეთის პატრონის ასულათ ხადის, ხოლო მათე ედესელის აზრით ის იყო ქართველთ მეფის გურგენის ასული (Бакрадзе. Кавказъ въ древнихъ памятникахъ христіанства, стр 28).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშუალებით. რატომ ამ წლიდან იწყეს ქრონიკონით თვლა და ამ სხვა წლიდან? ეჭვი არ არის ამ წელს რაიმე თვალსაჩინო მოვლენა უნდა ეთვალიერა საქართველოს ისტორიაში. ანუ მათდა, რომელთაც დაიწყეს ამ წლიდან თვლა ქართული წელთ-აღრიცხვისა, ეს წელი ერიად მნიშვნელოვანი უნდა ეთვალიერა. ჩვენ გვგონია, რომ ქრონიკონით წლების აღნიშვნა ბაგრატიონებმა შემოიღეს და 780 წელი არის დასაწყისი ბაგრატიონების ბატონობისა საქართველოში და ამიტომ უძევს საფუძველად ეს წელი ქართულ წელთ-აღრიცხვას. მართალია, სუმბატის ისტორიაში და ვახტანგის რედაქციის ქართლის ცხოვრებაში, ბაგრატიონების დინასტია იწყება გურამ კურაპალატიდან (575—600), მაგრამ ეს მართალი არ არის. უძველესი ჩვენი ისტორიული წყაროები ქართლის მოქცევა და მარიამ დედოფლის ქართლის ცხოვრება მას და მის შემდეგ ერისთავებს აშოტის მამის ადარნასემდის ბაგრატიონათ არ იცნობენ. ისტორიკოსს სუმბატს თავისს ბაგრატიონთა ისტორიაში სურდა გაედიდებინა ბაგრატიონები რაგორც შთამომავლობით, ისე ხანგრძლივი მეფობით საქართველოში. ამიტომაც მან ეს დინასტია შთამომავლობით დაუკავშირა დავით წინასწარმეტყველს და პირველი ერისთავი-კურაპალატი ქართლისა გურამ ჩასთვალა ბაგრატიონად და აქედგან დაიწყო მათი ბატონობის ისტორია საქართველოში[1]). ეს ტენდენციური თქმულება სუმბატის ისტორიისა შეიტანა ქართლის ცხოვრებაში ვახტანგის რედაქციამ სუმბატისავე ისტორიიდან. ჩვენი წყარო ნათლად უჩვენებს, რომ ბაგრატიონთ შტო საქართველოში იწყება ადარნასედან და მისი შვილის აშოტ კურაპალატიდგან, ქართველის ქრონიკონის მეცამეტე მოქცევიდან, ესე იგი 780 წლიდან. რაკი ქართველებმა ქრონიკონით სათვალავი 780 წლიდან დაიწყეს, უნდა გამოვანგარიშებიათ, რამდენი მოქცევა იქნებოდა დასაბამიდან სოფლისა 780 წლამდის. ერთი მოქცევა ქრონიკონისა ანუ ციკლი შეიცავს 532 წელს. ბერძნები დასაბამიდგან ქრისტეს მოსვლამდე ანგარიშობენ, როგორც დავინახეთ,

---

[1]) აქ უნდა შევნიშნოთ, რომ თქმულება დავით წინასწარმეტყველისგან მომდინარეობისა, როგორც ეტყობა, წინეთაც ყოფილა გავრცელებული ბაგრატიონთ გვარეულობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5508 წელს, თუ ამ რიცხვს მიუმატებთ 780 წელს, მივიღებთ 6288 წელს, მაგრამ ეს რიცხვი არ იყოფება უნაკლულოდ 532 წელზედ. ხოლო თუ ბერძნულ სათვალავს 5508 წელს კიდევ მივუმატებთ 96 წელს, მაშასადამე დასაბამითგან სოფლისა ვიანგარიშებთ 5604 წელს, და ამ წელს მივუმატებთ 780 წ., იქნება 6384 წ. თუ ამას გავყოფთ 532 წელზე, გამოვა 12 მოქცევა. ესე იგი ამ სათვალავით დასაბამითგან სოფლისა 780 წლამდის ქრისტეს შემდეგ 532-ნი ქრონიკონი მოქცეულა 12-ჯერ და 780 წლიდან იწყება მე-13 მოქცევა. ეს არის მიზეზი; თუ ქართველები რათ ანგარიშობენ დასაბამითგან ქრისტემდის 5604 წელს და არა 5508 წელს, როგორც ბერძნები, ანუ 5500 წელს, როგორც ალექსანდრიის სათვალავის მიმდევარნი. ერთი სიტყვით ქართველები იძულებულნი გახდენ დასაბამითგან სოფლისა ქრისტეს მოსვლამდე ბერძნული სათვალავისთვის 96 წელი მიემატებინათ, რომ მეთორმეტე მოქცევა დაემთავრებინათ 780 წელს ქრისტეს შემდეგ. მაგრამ იმ დროს ბერძნული სათვალავი მიღებული და გავრცელებული იყო საქართველოში და, რომ შეცდომაში არ შეეყვანათ მკითხველნი, ხელთნაწერების გადამწერნი ხშირად უჩვენებდენ, ბერძნული სათვალავით მოჰყავთ მათ წელთა ადრიცხვა თუ ქართულით. უმეტეს შემთხვევაში ორივეს უჩვენებენ. ამგვარად, ჩვენ გვგონია, ქრონიკონით სათვალავი შემოიღეს ბაგრატიონებმა და ამ სახით წელთა ადრიცხვა დაიწყეს 780 წლიდან. ეს წელი შეიძლება იყოს ადარნასეს გადაცვალების და აშოტ კურაპალატის ბატონობის დასაწყისი, თუმცა მიღებულის ქრონოლოგიით ადარნასე გადაიცვალა 779 წელს და აშოტმა დაიწყო ბატონობა 786 წელს, მაგრამ ეს საეჭვო უნდა იყოს. საკურადღებოა ის თვალტიც, რომ პირველად ქრონიკონი ნახმარია სუმბატის ისტორიაში აშოტ კურაპალატის გადაცვალების აღსანიშნად, რომელიც მოკლულ იქმნა სუმბატის ისტორიით „დასაბამითგან წელთა ხჯდ (6430), ქრონიკონსა მეათცამეტედ მოქცეულსა შინა მგ, თუესა იანვარსა ოცდა ცხრასა“ (მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 345). დასაბამითგან 6430 წელი ქართულის სათვალავით და მე-46 ქრონიკონი მეცამეტე მოქცევისა უდრიან 826 წელს ქრისტეს შემდეგ, რომელიც ეთანხმება ახლად დაბეჭდილის ჩვენი წყაროს თარიღს. ამგვარად, ჩვენის აზ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რით ქორონიკონით სათვალავი ქართველებმა შემოიღეს აშოტ კეკ-
რაპალატის დროს და საუუძველად მას დაუდვეს ბერძული წელი აშო-
ტის გაბატონებისა საქართველოში, რომელიც უნდა მომხდარიყოს
780 წელს ქრისტეს შემდეგ[1]). სხვა წვრილად განმარტებას მკითხველი
შენიშვნებში ამოიკითხავს. აქ დავსძენთ მხოლოდ, რომ ეს ახალი
წესრო ჩვენი ისტორიისა ძრიელ საუურადღებოა საქართველოს
ისტორიის მკვლევართათვის. მოგვეავს აქ ტექსტი:

1. ქ: დასაბამითგან ქ^ეს მოსლვამდის წელნი იუვნეს ხუთი ათას
და ხუთას და ოცდა ექვს[2]):

2. ქართლი მოიქცა ნინოს ქადაგებითა ქ^ს ამადლებითგან სამას
ოცდა თვრამეტ წელსა: დასაბამითგან წელთა ხუთი[3]) ათას რვაას
ოცდა ათვრამეტთა[4]). და წ^ნ ნინო დაუო ქართლსა (წელი) ათ-თოთ-
ხმეტი[5]): და ამასვე ჟ^ა იუო დიდი კოსტანტინე ბერძენთა მეფე: და
თრდატ სომეხთ მეფე წ^ის გრიგოლის მიერ მოიქცა[6]):

3. ̈ხ (ხოლო) მირიანითგან ვ^ე (ვიდრე) ვახტანგის მეოთხის
შვილის ფარსმანისამდე[7]) გადახდეს წელი ორასნი. და მეფენი ათორ-
მეტნი[8]):

---

[1]) აქ მოხსენებული საკითხის შესახებ სხვა დროს უფრო დაწვრილებით გვექნება საუბარი.

[2]) დასაბამითგან ქრისტეს მოსვლამდის ბერძნების ანგარიშით არის 5508 წელიწადი, ქართულის ანგარიშით 5604, ალექსანდრიის თარიღით 5500 წელი. ეს უკანასკნელი ანგარიში გვხვდება წმინდა ნინოს ცხოვრებაში (იხილე ჩემი Три хроники. Обращеніе Грузіи въ христіанство, стр. 74, прим. 2). ხოლო 5526 წელი კი სხვა წყაროებში არ შეგვხვედრია და ეს თარიღი შეცდომათ უნდა ჩაითვალოს.

[3]) დედანში შეცდომით სწერია: (ხ) უით.

[4]) ეს თარიღი ქართლის ცხოვრებით ნინოს მიცვალების არის და არა ქართლის მოქცევის. 338 რომ გამოვაკლოთ 5838-ს, დარჩება დასაბამითგან ქრისტეს მოსვლამდის 5500 წელი, ესე იგი ალექსანდრიული თარიღი, რომელიც მიღებულია წმინდა ნინოს ცხოვრებაში.

[5]) ეგრევეა ქართლის ცხოვრებაშიც, ხოლო ქართლის მოქცევით გამოდის 15 წელიწადი.

[6]) ეს ცნობებიც ეთანხმება ქართლის მოქცევას ⊕ ქართლის ცხოვრებას.

[7]) დედანში შეცდომით სწერია: ფარსადანისამდე.

[8]) ეს თარიღი ეთანხმება ქართლის ცხოვრებას (იხ. სამი ისტორიული ხრონიკა, გვ. 32, შენ. 2).

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. და ამს ჟ᾽ა მოვიდა ი᾽ნე შუამდინარელი: რ᾽ლსა ეწოდების ი᾽ნე ზედაძნელი [1]):

5. დასაბამითგან წელთა: ხ᾽რჲ: ამდონს იყო მოჭმად ბოროტი [2]):

6. და შ᾽დ (შემდგომად) მისსა დისწულმან მისმან ᾽ერუ მურვან წარულო ᾽ი ქ᾽ესა (ოთვალი ქვეყანა). რ᾽ლისა (რომლისა) მიერ იწამნეს ათხაზეთს დ᾽თ (დავით) და კოსტანტინე.

7. და ამისა შ᾽დ გამოჩნდა დ᾽თ (დავით) წ᾽ნდისა (წინასწარმეტყველისა) ტომი სახელით ადარნასე, დისწული ბ᾽რმისა (ბარამისა), რ᾽ი (რომელი) ეზრახა შვილთა ვახტანგ გორგასალისათა: და აქ იწეო ტომებმან დ᾽თ (დავით) წ᾽წე᾽ისმან (წინასწარმეტყველისამან), რ᾽ლ (რომელ) არიან ბაგრატოვანნი:

8. ᾽ხ (ხოლო) იწყეს მეფობა ბაგრატოანთა ქ᾽ესა მეათსამეტედ მოქცეულსა შინა [3]). და მოიკლა დიდი ამოტ ქრონიკონსა ორმოცდა მეექვსესა მეგრელთაგან [4]):

9. ბაგრატ გურგენის შვილისა დდეთა, რ᾽ლნ (რომელმან) ერთსამეფო ᾽ყო ათხაზეთი და ტ᾽ნი (ტაონი) იყო ეფთვიმე მთაწმიდელი თარგმანი ქვეყანით ტაოელი: ქ᾽ესა ორას ოცდა თოთხმეტსა [5]).

---

[1]) ეს ეთანხმება ქართლის მოქცევის და ქართლის ცხოვრების ცნობას.

[2]) ეს წელი 6160 დასაბამითგან უდრის ბერძნულის სათვალავით 652 წელს ქრისტეს შემდეგ (6160—5508—652).

[3]) მეათცამეტე მოქცევა ქორონიკონისა იწყება 780 წელს. ეს ცნობა ჰეშმარიტია, ბაგრატიონთ დინასტია საქართველოში, ჩვენის აზრით, მერვე საუკუნიდან იწყება და ყველა ცნობა სუმბატის ისტორიისა, ვითომც ბაგრატიდების დინასტია საქართველოში იწყებოდეს გურამ კურაპალატიდან მეექვსე საუკუნეში, ტენდეციურია. ბაგრატიონთა დინასტია ადარნასედან იწყება. 780 წელი უნდა იყოს დასაწყისი ამოტ კურაპალატის მფლობელობისა.

[4]) ქორონიკონი უდრის 826 წელს და ეთანხმება სუმბატის ისტორიის და ქართლის ცხოვრების ცნობებს. სიტყვა „მეგრელთაგან“ მოიპოვება მხოლოდ ბარათაშვილის და ბროსეს ვარიანტში. სუმბატის ისტორიაში ეს არ არის.

[5]) ქორონიკონი უდრის 1014 წ. ეს ბაგრატ მესამის სიკვდილის წელია, რომელმაც მართლა შეაერთა აფხაზეთი, ტაო და ქართლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. და ამისსა შ^დ იყო ბაგრატ სევასტოსი: ქ^ესა ორას ორმოცდა თორმეტს: რ^ლისა (რომლისა) ჟამთა შინა იყო თარგმანი გ^ი (გიორგი) მთაწმიდელი [1]):

11. და ამის შ^დ დიდის დავითის დღეთა იყვნეს თარგმანი წიგნთანი ეფრემ მცირე და თეოფილე, არსენი იუალთოველი და იოვანე ტაიწის ძე:

12. ̈ხ (ხოლო) ესე დავით მეფე წ^წეისა (წინასწარმეტყველისა) დავითისი სამეოცდა მეათვრამეტე შვილი იყო [2]):

13. ̈ხ (ხოლო) ქ^ეს მოსლვა მეათერთმეტედ მოქცეულსა ქ^ესა შინა იყო: და მოჭამად მეთორმეტედ მოქცეულსა [3]).

14. და გამოიღო დიდმან დ^თ (დავით) მეფემან ტბილისი ქ^ეს. სამას ორმოცდა ხუთს [4]):

15. და შ^დ (შემდგომად) მისსა (იყო) დიმიტრი სამას სამოცდა თექვსმეტსა [5]):

16. შ^დ (შემდგომად) მისსა გიორგი [6]).

17. ოთხასსა თამარ დაჯდა მეფედ [7]): და დაებადა მას ლაშა გიორგი: ქ^ესა ოთხას თორმეტსა [8]):

---

[1]) ბაგრატ სევასტოსი არის ბაგრატ IV (1027—1072). ქორონიკონი უდრის 1032 წ.

[2]) ესეევა ქართლის ცხოვრებაშიც, იხილე ბროსეს გამოცემა, გვ 236.

[3]) მეთერთმეტე მოქცევა იწყება 284 წელს ქრისტეს წინ და თავდება 248 წელს ქრისტეს შემდეგ. მეთორმეტე იწყება 248 წელს ქრისტეს შემდეგ და თავდება 780 წელს.

[4]) ქორონიკონი უდრის 1125 წ., ხოლო ქართლის ცხოვრების ცნობით ეს იყო 342 ქორონიკონს, ესე იგი 1122 წ. (იხილე ქართ. ცხ. ბროსეს გამოცემა, გვ. 150=მარიამ დედ. ვარიანტი, გვ 308. H. G. I, p. 367, n. 3).

[5]) ქორონიკონი უდრის 1156 წელს. მიღებულის ქრონოლოგიით დიმიტრი I, ძე დავითისი, გადაიცვალა 1154 წ.

[6]) იგულისხმება გიორგი III, თამარის მამა (1156—1184).

[7]) ოთხასი ქორონიკონი უდრის 1180 წ., ცნობილის ქრონოლოგიით თამარ გამეფდა 1184 წ.

[8]) ქორონიკონი უდრის 1192 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

18. და მოკ᾽და გიორგი მეფე ბ გვარსა[1]) იანგრისასა ათვრამეტს დღეს. ოთხშაბათს. ქ᾽კს ოთხას ორმოცდა ორსა[2]):

19. ცოტა რამ მეფეთა ცხოვრება ვპოვე. და მას ზ᾽ა (ზედა) დავწერე ქართველთა ქ᾽კსა. ხუთას ოცდა თორმეტი წელიწადი ერთი მოქცევა იქნება: და მას უკან ახალი დაიწყებს[3]):

20. ამას წინანდელს მოქცევასა: ქ᾽კსა სამას ოცდა შვიდმეტსა: ადმაშენებელმან წაუღო თათართა ლორის ციხე[4]):

21. ამავე ქ᾽კსა სამას ორმოცდა ერთს წაუღო მანვე ადმაშენებელმან თბილისის ქალაქი თათართა, რ᾽ლ (რომელ) ვახტანგ გორგასლის უკან თათართა ᲒᲥონდა[5]):.

22. ამავ ქ᾽კსა სამას ორმოცდა სამს წაუღო მანვე ადმაშენებელმან ანის ქალაქი არფასლნიანთა. და მოსწყვიტნა იგინი[6]): რ᾽ლთა (რომელთა) დიდი საუდარი ანისი მიძგოთად მოეკმაზა და ქ᾽ეანეთა სისხლითა იგი საუდარი და ქალაქი მოერწყოთ. იმუქალთა ღ᾽თის მოყვარემან ღ᾽თ (ღვთით) ადმაშენებელმან. მოლათა და დარიმანთა სისხლითა ახლავე მან მორწყო, საუდარი იგი ახლად მოანათლა, რ᾽ი (რომელი) ადეშენა ბერძენთა ასულს დედოფალს კატრონიტეს. და იქი ესოფლავა: მივიდეს მეფე და კ᾽ზი (კათალიკოზი), ეპისკოპოსნი და ერთობილნი ლაშქარნი დედოფლისა საფლავსა. ახლად წესი აუგეს და თვითან მეფემან სამჯერ საფლავთა Ჩასძახნა: „გიხ᾽ნ (გიხარიდენ) შენ დედოფალო, რ᾽ (რამეთუ) იკსნა ღ᾽ნ საუდარი შ᾽ი (შენი) უსჯულოთა კელთაგან“: ამასა ზედან მკუდარმან საფლავით კმა ამოიღო და

---

[1]) ესე იგი მეორე ამა გვარისა, მაგრამ ეს მეორე კი არ არის, არამედ მეოთხე.

[2]) ქორონიკონი უდრის 1222 წ., მიღებულის ქრონოლოგიით გიორგი ლაშა მიიცვალა 1223 წ.

[3]) ეს შენიშვნა მართალია, ქორონიკონის ციკლი შეიცავს 532 წელს. როდესაც ერთი მოქცევა გათავდება, ახალი დაიწყება.

[4]) ქორონიკონი უდრის 1117 წ. ქართლის ცხოვრებით ლორე აიღო დავითმა 1118 წ. (Ibid. გვ. 246, H. G. I 360).

[5]) ქორონიკონი უდრის 1121 წ. (ამის შესახებ იხილე ზემოთ, გვ. 61, შენიშვნა 4).

[6]) ქორონიკონი უდრის 1223 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღ᾽თს მადლი მისცა: გაუკვირდა მეფესა და ერთობილ ერთა[1]. გამოვიდა ხანი. გარდაკდა ღ᾽თ (დავით) აღმაშენებელი ამიერ სოფლით.

23. და დაჯდა შ᾽დ (შემდგომად) მისსა შვილი მისი ზურაბ მეფედ[2]. და დემეტრე დაიჭირა ე᾽ი (ეოველი) სამეფო. ამასვე ქ᾽კსა სამას ორმოცდა ხუთს მიუხდა დმანისს. წაუდო ციხე და ამოსწყვიტნა ყარსს უღუღიანი: ამასა ზედა მოუხდა სადუხ ყაენი ანის ქალაქსა. მოადგა აქათ დემეტრე მეფე, მოვიდა. შეიბნეს. ნებითა ღ᾽ჱთა მეფეს გაემარჯვა. დაკოცნა და ამოსწყვიტნა[3]: და ამავე ქ᾽კსა ტო ამდონს მიიცვალა დიმიტრი მეფე[4]:

---

[1]) ამგვარივე ცნობები ანის ტაძრის შესახებ მოჰყავს ვახუშტის თავისს ისტორიაში ცოტა შეცვლით და შემოკლებით. ეტვს გარეშეა, ვახუშტის ასეთივე ტექსტი ჰქონია ხელში, როგორც ჩვენი დედანია, ასე რომ ეხლა ირკვევა წყარო, საიდგანაც ვახუშტის ამოუღია ეს ცნობა (იხ. ვახუშტის ისტორია, ბაქრაძის გამოცემა, გვ. 182—183). ვახუშტიდან უნდა ჰქონდეს ამოღებული ამგვარივე ცნობა მურავიოვს თავისს Грузія и Арменія-ში (ნაწილი II, გვ. 269). ანის აღებაზე და ეკლესიის განწმენდაზე და მეორედ კურთხევაზე მოგვითხრობს აგრეთვე მათე ედესელი (Additions, p. 130—131).

[2]) დავითის შვილი იყო დიმიტრი, ზურაბს ქართული წყაროები არ იცნობენ.

[3]) ქორონიკონი უდრის 1125 წ. ამ წელს გადაიცვალა დავით აღმაშენებელი, გამეფდა დიმიტრი, აიღო დბანისი და ამოსწყვიტა ყარსს უღუღიანი. ეს ცნობები არ მოიპოვება ბროსეს გამოცემულს ქართლის ცხოვრებაში (გვ. 263—264), არც მარიამ დედოფლის ვარიანტში (გვ. 334), მაგრამ მოყვანილია ერთ უძველეს ვახტანგის რედაქციის ქართლის ცხოვრების ხელთნაწერში, რომელიც მ. ჯანაშვილმა გადმოსცა წერაკითხვის საზოგადოებას, № 4730 (იხ. ჩემი Описаніе рукописей Общества грамотности, т. II, стр. 117). ესევე ცნობები მოიპოვება ვახუშტის ისტორიაშიც (გვ. 187). უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ცნობები ჩვენის ტექსტის ცალიდან არის შეტანილი როგორც ვახტანგის რედაქციის ქართლის ცხოვრებაში, ისე ვახუშტის ისტორიაში.

[4]) ქორონიკონი უდრის 1150 წ. (ვახუშტიც ამ წელს უჩვენებს). მიღებულის ქრონოლოგიით დიმიტრი გადაიცვალა 1154 წელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

24. და დაჯდა მეფედ შვილი მისი დ᾽თ (დავით). განგებისაგან მეტი დდე არ ედვა. წლის გათავებაზედ იგიც მოკ᾽და (მოკუდა[1]):

25. და დაჯდა მეფედ დიდი გიორგი, რ᾽ლნ (რომელმან) ვარძია ადაშენა[2]). გააუენა საზღვართა მისთათა ე᾽ნი (ეოველნი) მებრძოლნი მისნი: გამაგრა ე᾽ი (ეოველი) სამეფონი: და ადაშენა საუდარნი. ამასვე ქ᾽კსა: ტოზ. ამდონს და მოუკდა[3]) ელგეზ ეაენი ანისს, ოცდა ათს დდეს გარს ადგა. აქათ მიუკდა გ᾽ი (გიორგი) მეფე. შეება და გააქცივა და მოსწყვიტნა ნებითა დ᾽ჲთა: ამავე ქ᾽კსა ტჟდ[4]): სამას ოთხმოცდა თოთხმეტსა: მიიცვალა დიდი გ᾽ი (გიორგი[5]):

26. და დაჯდა მეფედ შვილი მისი თამარ მეფე. მრავალ ჯერ მო(უ)კდეს თათარნი. ვერა რათ აზიანეს ნებითა დ᾽ჲთა: მიეცა ამას შვილი ლაშა გიორგი: დიდი სიხარული შეიქნა ლაშქართა შინა. გამოვიდა ხანი: ქ᾽კს უ᾽ია: ამდონს მიიცვალა თამარ მეფე[6]).

27. და დაჯდა მეფედ ლაშა გ᾽ი (გიორგი): გაუძახა ლაშქარნი

---

[1]) ცნობა, რომ დავით მეფემ ერთი წელი იმეფა, მოიპოვება მხოლოდ ერთ ვახტანგის რედაქციის ქართლის ცხოვრებაში № 4730, რომელზედაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი (Описаніе рукоп т. II, стр. 117—118). სხვა ქართლის ცხოვრების ვარიანტებით და ვახუშტის ისტორიით დავით მეფობს ექვს თვე (ქარ. ცხ. გვ. 264. ვახუშტის ისტორია, გვ. 188).

[2]) ამით მტკიცდება ქართლის ცხოვრების ცნობა, რომ ვარძია აუშენებია გიორგი მეფეს, ხოლო თამარის დროს დაასრულეს, გააფართოეს და უმატეს შენობათა (იხ. მარიამის ვარიანტი, გვ. 494).

[3]) დედანში სწერია: მოკ᾽და (მოკუდა?).

[4]) დედანში შეცდომით სწერია: ტ᾽დ. შემდეგ ეს ქრონიკონი სიტყვებით სწერია სწორათ.

[5]) ქრონიკონი უდრის 1174. ამ წელს უჩვენებს ვახუშტი ბატონიშვილიც. ეტყობა ვახუშტის ბევრი თავისი ქრონოლოგიური ცნობები ამ ჩვენი წყაროს ასლიდან ამოუღია. მიღებულის ქრონოლოგიით თამარი გამეფდა 1184 წ. ზემოთ (გვ. 61, შენ. 7) თამარის გამეფება და მაშასადამე გიორგი მეფის სიკვდილი ნაჩვენებია 1180 წ.

[6]) ქრონიკონი უდრის 1191 წელს. ხოლო თამარი უფრო გვიან გადაიცვალა, მიღებულის ქრონოლოგიით 1212 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მოსწყვიტნა მრავალნი ქალაქნი ვიდრე არწყემის კარამდი. ქ᾽ კს უე᾽ მიიცვალა ლაშა გიორგი[1]).

28. და დაჯდა მეფედ რუსუდან და ვერა კარგად დაწყო სამეფონი. მისსა ჟ᾽ ა (ჟამსა) შიგან გამოჩნდა ნიშანი ადმოსავლეთს ბოლოიანი ნათელი ვარსკ᾽ლავი: და კიდეც ამოსწყდეს სამეფონი: ქ᾽ კს უ᾽ ნა: ამავ თარიღში მოკ᾽ და რუსუდან მეფე[2]): მოუხდა თავრუხ თოლად, ამოსწყვიდნა სრულად სამეფონი: და არავინ ჩუენ გამეღენი.

29. ამ დროს ალასტნელისა შვილი დ᾽ თ (დავით) მეფე მივიდა უაენს წ᾽ ე (წინაშე) მეფობისა გამოსათხოვნად. და ვ᾽ ე (ვიდრე) იქით მოუბრუნდებოდა, მოუხდეს თათარნი და სრულად სამცხის სახლნი გარდავლნეს[3]).

---

[1]) ქორონიკონი უდრის 1207 წელს, ხოლო მიღებულის ქრონოლოგიით გიორგი ლაშა გადაიცვალა 1223 წ. ზემოთ (გვ. 62, შენ. 2) უფრო სწორი თარიღია ნაჩვენები გიორგი ლაშის გადაცვალებისა.

[2]) ქორონიკონი უდრის 231 წელს. ვახუშტი უჩვენებს 1237 წ. ბროსეს ანგარიშით რუსუდან გადაიცვალა 1248—1249 წლებში.

[3]) ზემოხსენებული ქორონიკონი და მთელი ეს ხუთი სტრიქონი სიტყვა-სიტყვით მოყვანილია ბარათაშვილის და ბროსეს ვარიანტებში ქართლის ცხოვრებისა და ეჭვს გარეშეა, რომ ამ ჩვენი წყაროს ტექსტის ცალიდან არის ამოღებული. ამ ამონაწერს ბარათაშვილის ვარიანტში ასეთი ცნობა მ᾽ უძღვის: ეს ამბავი სხვა ქორონიკონში ვიძიეთ იმიტომ ასრე დავსწერეთ (იხ. მარიამ დედოფლის ვარიანტი, ჩემი განოცემა, გვ. 622, შენ. 7)

ალასტანი მდებარეობს ჯავახეთში ჩრდილო-დასავლით კერძო ახალქალაქისა, ვარევან და გოკიას შორის, გოკიის წყალზ᾽ დ (ვახუშტის რუქით), ხოლო რუსული რუქით ჩობარეთის წყალზედ, რომელიც შეერთვის ჯავახეთის მტკვარს (ვახუშტის რუქით), ანუ ახალქალაქის წყალს რუსული რუქით. ეტყობა მონგოლების დროს ერთი შტო ბაგრატიონთა გამეფებულა ალასტანში, მაგრამ მათ შესახებ ცნობები ქართლის ცხოვრებაში არ მოგვეპოვება ეს პირველი მაგალითია, რომ ქართლის ცხოვრებაში გვხვდება ალასტნელ მეფის სახელი, მაგრამ, როგორც დავინახეთ, ესეც მერმეა შეტანილი ვახტანგის რედაქციის ქართლის ცხოვრებაში და შეტანილია ჩვენი წყაროს ასლიდან. სხვა ალასტანელ მეფეთ შესახებ იხილე ქვემოთ (გვ. 66, შენ. 3).

ეროვნული ბიბლიოთეკა

30. ამავე ბ´ს უ´იწ:. ქ´ს მოუკდეს ფრანგნი ბერძენთა ქ´ს-ტანტინეპოლი წაუღეს[1]). ამავე ქ´ს ულგ. ქ´ს დაიჭირეს ფრანგთა ი´ერუსალიმის (იერუსალიმის) სახლი[2]). და დიდი სიხარული შეიქნა ს´დ (სრულიად) საქ´ნოშიგან (საქრისტიანოშიგან):

31. ბ´ლნი (პირველნი) მეფენი ესენი არიან. ამათ უკან მელქი-სედეგ დაჯდა[3]):

---

[1]) ქორონიკონი უდრის 1198 წელს. ეს ეთანხმება პირველ ჯვაროსანთა ომიანობას (1196—199). ჯვაროსნები თუმცა წეიკრიბნენ კოსტანტინეპოლში, მაგრამ კოსტანტინეპოლი კი არ აუღიათ, არამედ დაიჭირეს მცირე აზია, ედესა, ანტიოქია და იერუსალიმი. კოსტანტინეპოლის დაპყრობა ჯვაროსანთა მიერ იყო მეოთხე ომის დროს 1204 წ.

[2]) ქორონიკონი უდრის 1213 წ. იერუსალიმი დაიჭირეს ჯვაროსანთა, რომელთაც ჩვენი წყარო ფრანგებს უწოდებს, როგორც ყველა კათოლიკე სარწმუნოების მიმდევართ, 1199 წელს.

[3]) მელქისედეგი უნდა ეკუთვნოდეს ალასტნელ მეფეთა შტოს. მელქისედეგ მეფეს ქართლის ცხოვრება და სხვა ჩვენი წყაროები არ იცნობენ. მხოლოდ მელქისედეგ მეფე მოხსენებულია სინას მთის სულთა მატიანეში, რომელიც სრულიად გადმოუწერიათ ნ. მარრს და ი. ჯავახიშვილს. ამ შრომიდან ამონაწერი ცნობები ალასტნელ მეფეთა შესახებ გადმოგვცა ჩვენ სარგის კაკაბაძემ, რომელსაც მადლობას ვუძღვნით. აი ეს ცნობები:

„ალასტნელი გ´ი დიდი და მათთა ძეთა გ´ნსნოს ღ´ნ.

სულსა მეფის მელქისედეგისა და მათთა ძე (sic) გ´ნსნოს ღ´ნ.

სულსა მეფის ანდრონიკეს და მ(ა)თთა ძეთა გ´ნსნოს ღ´ნ“.

ჯვარის მონასტრის აღაპებში წერებულა პირველ იანვარს ქვეშ:

„ამ(ა)სვე დღესა აღპი მფთ მეფისა მელქისედეკისა“.

მეფე გიორგი და ანდრონიკეს შესახებ ამონაწერებს ჩვენ ვპოულობთ ა. ცაგარლის შრომაშიც, Памятники грузин. старины на Святой землѣ и на Синаѣ, стр. 219—220, ამრიგათ:

„სულსა მეფისა ალასხნელისა (უნდა იყოს ალასტნელისა) გიორგი დიდისა და მათთა ძეთა განუსვენოს და შეუნდოს ღ´ნ.

სულსა მეფის ანდრონიკეს და მათთა ძეთა გ´ს შ´ს ღ´ნ“.

თუმცა ზემო მოყვანილ ამონაწერებში მელქისედეგ და ანდრონიკე ალასტნელ მეფეებათ არ იხსენიებიან, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, ესენიც ალასტნელები არიან. აქ მოხსენებულს ანდრონიკე მეფეს უნდა ეკუთვნოდეს ჩვენ მიერ ნაპოვნი და დაბეჭდილი სიგელი 1348 წლისა, მიცემული

ეროვნული ბიბლიოთეკა

III

ჟამ-გულანი № 381 „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა“ და ისტორიული მინაწერები მისი კვინკლოსისა.

ხელთნაწერი ჟამ-გულანი საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა № 381, ზომით 21,5×15 სანტიმეტრი, დაწერილია ქაღალდზე ნუსხა ხუცურის ხელით, ყდა ადარ აქვს, წიგნი სრულიად დაშლილია, ფურცლები და რვეულები არეული, ბევრგან ფურცლები შეწებებულია სინესტისაგან, ბევრგან სანახევროდ არის შენახული. აკლია თავში ორი რვეული (16 გვერდიანი).

ხელ-ნაწერის სამოცდამეორე რვეულში ორ უკანასკნელ ფურცელზე სწერია:

„მე ცოდვილს დიაკონს **დ᾽თს** (დავითს) **ბაბუხადიას** დამიწერია წირვის ჟამნი მისის შედეგიანთ:. მწუხრის და სერობის:. ხადიდიანი:. თუსნი ოთხ ჟამნზე ვამოწმეთ: რაც ჩვენგან გეწყობა-

---

წითლოსან ქვენიფნაველისადმი. სიგელი დაწერილია მეცხრე ინდიკტიონს ანდრონიკეს მეფობისას, მაშასადამე ანდრონიკე გამეფებულა 1339 წელს (იხ. საქართველოს სიძველენი, ტ. II, გვ. 11—12). ა. ცაგარლის ამონაწერიდან სჩანს, რომ ანდრონიკე მეფეს ჰყოლია შვილი გიორგი. ამ ცნობას ამართლებს ერთი გუჯარი 1435 წლისა, რომელშიაც მოხსენებულია, რომ ლორის ციხის აღების დროს 1431 წელს მოუკლავთ აგარიანებს ანდრონიკეს შვილი ალასტნელი გიორგი: „ამა უსჯულოთა ა(გარის) ნათესავთა ანდრონიკეს შვილი ალასტნელი გ᾽გი მოუკლავს და მრავალნი ქრისტიანენი წამებითა აღუსრულებიან“ (თ. ჟორდანია. ქრონიკები ტ II, გვ. 242). აქ გიორგი ალასტნელი ჯერ მეფედ არ იხსენიება და ეს ეთანხმება ზემო ნაჩვენებ ჩვენ ცნობას, რომ ის გამეფდა 1339 წ. ამრიგად ალასტნელ მეფეთა შორის ეხლა ცნობილია დავით მეფე და მელქისედეგ მეცამეტე საუკუნეში, ანდრონიკე მეთოთხმეტე საუკუნეში და აგრეთვე ცნობილია მეფე გიორგი, რომლის დრო მეფობისა დანამდვილებით არ ვიცით. სინას მთის სულთა მატიანეში ის მოხსენებულია დავით აღმაშენებელის შემდეგ. შეიძლება, ეს იყოს პირველი ალასტნელი მეფე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, სცადი არ დაგვიკლია:. სადღეს სწორო:. სკ ნბრ რითგ ან ვ ე (ვიდრე) მაისამდის, ღ ნ უწეის, დიდად არობას ვეცადეთ, ამისთ ს რო-მე ციისკრის სხ რბ ჲ საწ წულო ბოლოს ეწერა. ამისთ ს ბატონს ბე-ვრი არაობა მოვახს ნე, ბატონმა ასე მიბრძანა: რავარც მაგაშიდ ეწე-როს, ისე დასწერეო, შ ნ უკანონო იუ ვო. აწ ვინაც მკითხველმ ნ ანუ მწერალმ ნ ჴპოოთ, ციისკრის სხრბჲს წ დგმჲს ბოლოს დასწერ-დით, საწ წულოს სტქ რნის ზეით, ოხითას წ რდგმჲს (წარდგომის) ზეით დასწერდით. რ ჲც ამ ჟამნებში და სადღეს სწორეშიდ ეწერა, არ დაგვიკლია და სხჲსგ ნაც ბევრი ვეცადეთ და ვამოწმეთ, მრთლის გ ლით სიმ რთლე მოვიჭირვეთ: აწ, ვინც იკითხვიდეთ და ან იხ-მარდეთ, ღ თი თქ ნს ს სოფლს გ ნნათლებს და ნათ ლს მოგინიჭებს, ჩ ნ თ ს შ ნდობჲს ბრძანებდით. ვინც მოგვიხსენოთ, თქ ნც მო-გიხ ნოს ღ ნ ა ნ:. ორი ათორმეტი შობისა და წ ულ კხ ვის მათის ფსალმუნებიანათ და ორი იამბიკონი, ესენი მე ც დვლს ღ თს დია-კონს დამიწერია“:.

აგვისტოს ბოლოში დედნის ხელით სწერია: ,,მაისს აქეთ ვ ე აქამოდე მე დამიწერია ი ე (იოანე) ბ ტრიძეს ფ (უფალო) ჩ ნო (ჩვენო):.

რვას სეკდემბერს ბოლოს სწერია დედნის ხელით:

,,ღ ო და მისო უბიწოდ მშობელო და ათორმეტნო საუფლ ნო წ ნო მიქაელა და გ ბრ ლ მთ ვრანგ ზნო წ ნო და აცამეტნო გუნდ-ნო ანგ ზნო და მოწამეთა მთავ რნო მხნეო მკედარო ძლ რო და არა-ვისგ ნ ძლევლო გ ი (გიორგი), მცველ და მფარველ ექმენით ორთა-ვე შ ა ცხრბჲსა **მხეიძე ფირანს** და მეუღლესა მისსა **მარეხს** და მოიხს ნე სს ფელსა შენსა ა ნ ა ნ და კ სნ (კირიელეისონ)''.

ბირველ იანვრის გვერდზე სწერია დედნის ხელით:

,,ღ თო და მისო მშობელო აცხ ვნე მხეიძე ფირან ა ნ''.

სამოცდამეთოთხმეტე რვეულის მეშვიდე გვერდზე სწერია დედ-ნის ხელით:

,,ქ. ღ ო შ ე ი ე ბატარიძე ა ნ და კ სნ (კირიელეისონ):. ღ ო ნუ წ რსწუმედ''.

სხვა და სხვა ადგილას ტექსტის ხელით კიდევ არიან მინაწერები:

ღ ო შეიწეალე ფ ლ ცოდვილი მკეიძე ფირან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲓᲐ ᲨᲔ ᲪᲘ ᲘᲔ:

ამის უცებად მჩხრეკელნ იოანეს (ᲘᲔს) პატარიძეს შეუნდოს ღმერთმან.

ᲓᲐ ᲨᲔ ᲗᲓ ᲪᲓᲕᲘᲚᲘ ᲘᲔ ᲓᲔᲜᲘ:.

ღმერთო მოიგსენე სასუფეველსა შენსა მხეიძე ფირან ᲜᲜ და ᲔᲡᲝᲜ. ვინც შენდობაᲐ უბრძანოთ თᲥᲜᲪᲐ შეგინდოს ᲓᲜ ᲜᲜ:

ეს მარხვა ზატიკი სწორა დასაწერათ მინდოდა, მაგრამ ბატონმა ფირან მიბრძანა რაᲐᲪᲐ ლაზრობ დიდს შაბათამდი ოხრითა იბაკოᲐ უნდოდეს, ლაზრობის შაბათისთვის დასწერეო. ნაადგომევს ოხითა იბაკოᲐ. აᲓᲓᲒᲝᲛᲘᲡ სახარების ბოლოს დამიწერᲝᲐ, უფალნო ჩემნო:.

ამ მინაწერებიდან სჩანს: ჩვენი ყამ-გულანი გადუწერია დიაკონს **დავით ბაბუხადიას** და **იოანე პატარიძეს ფირან მხეიძის** ბრძანებით.

სულ დაცულია 84 რვეული და ოთხი ფურცელი. თავში, როგორც მოგიხსენიეთ, აკლია ორი რვეული. ოცდამეცხრამეტე რვეულს აკლია ოთხი ფურცელი. ორმოცდა მეექვსე რვეულს აკლია ექვსი ფურცელი. არ არის 47 და 48 რვეულები. უკანასკნელ რვეულის დარჩენილია სამი ფურცელი, რომლის პირველ გვერდზე სწერია დედნის ხელით: „ᲓᲐ ᲨᲔ ᲪᲓᲕᲚᲘ მხეიძე ფირან ᲜᲜ ᲔᲡᲝᲜ“.

ერთ თავისუფალ ადგს სწერია მხედრულად:
„საეკლესიო სახმარი წმიდა ესე გულანი უბრწყინვალესის თავადის მაიორის ჩხეიძის როსტომის არის სოხად სულისა მისისა“.

მხედრულათ შემდეგის დროის ხელით კიდევ სწერია სხვა და სხვა ადგილს:

ღმერთო შეიწყალე ციხის თავი ქაიხოსრო [1]).

ღმერთო შეიწყალე სვიმონ ტქიტიშვილი.

შვაში მოქცეული ᲗᲥᲝᲜია კინკლოსი ისტორიულის წარწერებით. ეს კინკლოსიც ეხლა დაზიანებულია და თავის ადგილზე ადარ არის. თავში აკლია ფურცლები მე-200 ქორონიკონამდის. უმეტესი ნაწილი მინაწერებისა ტექსტის ხელით არის ნაწერი, უმცირესი შემდე-

---

[1]) ეს ქაიხოსრო გვარათ აგიაშვილი უნდა იყოს. მისი გადაცვალება იხსენიება კვინკლოსის მინაწერში ქვემოთ 1793 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გი დროის ხელით, ზოგჯერ მხედრულით. ტექსტის ხელით მინაწერები თავდება 1703 წლით. ეს გარემოება გვიჩვენებს, რომ მთელი ხელთნაწერი გადაწერილია მე-XVIII საუკუნის დამდეგს. შემდეგი დროის მინაწერები თავდება 1803 წლით. სულ კვინკლოსი შეიცავს ცნობებს 1512 წლიდან 1803 წლამდის. მაშასადამე ეკუთვნიან მეთოთხმეტე მოქცევას, ხოლო ერთი თარიღი გელათის აღშენებისა ეკუთვნის მეცამეტე მოქცევას და უჩვენებს 1057 წელს, ესე იგი ბაგრატ IV მეფობას, თუმცა გელათის აღშენების დაწყებას მიაწერს არა ბაგრატ IV, არამედ დავით აღმაშენებელს, რომელიც იმ დროს არ ცხოვრობდა. უმეტესი ფაქტები ამ კინკლოსისა ეხება დასავლეთ საქართველოს ისტორიას და ჩვეულებრივად სხვა კინკლოსებშიც იმეორება[1]), ზოგი ცნობები კი ახალია.

ქ᾽ კ: Ь.—1512. ამა ქკ᾽ნსა ხუანთქარმან გელათი და ქუთათის(ი) დაწუა.

ЬЪ.—1519. ამა ქკ᾽ნსა დაჯდა გელათს ეპისკოპოზად საერ᾽ლიძე (საევარელიძე) მ(ე)დქ[ისედეკ].

ЬОЪ.—1057. ამა ქკ᾽ნსა დ᾽თს (დავითს) აღმაშენებელს გელათი დაუწეია და ქკ᾽ნი მობრუნებულია. ?

ЬОЦ.—1591. ამა ქკ᾽ნსა შეებენ მეფე როსტომ (და) დადიანი მეფეს სჯოხს და იმერელს და ოდიშარს გაემარჯვა ამავე ქრ᾽კნს:.

---

[1]) ასეთივე მინაწერები ჩვენ შევკრიბეთ სტატიებში: 1) „Историческія приписки двухъ кинклосовъ и хронологическій перечень событій по нѣкоторымъ другимъ источникамъ“, XXI вып. Сборника матеріаловъ для описанія мѣстностей и племенъ Кавказа. 2) „Кончаетскій „жамъ-гулани“ и историческія приписки его кинклоса», XXIX вып. Сборника. 3) «Хроника Эристовскаго Акаѳиста», ibid. 4) «Акаѳистъ креста и корониконы», Описаніе рукописей грузинскаго общества грамотности, т. II, стр. 655—658. უმეტესი ნაწილი ფაქტებისა ჩვენი კინკლოსისა ნაჩვენებია აგრეთვე სხვა ხელნაწერის კინკლოსში, რომელიც ჩვენ დავსტამბეთ და განვმარტეთ ზემო აღნიშნულ სტატიაში „Историческія приписки двухъ кинклосовъ“ და ამიტომ საჭიროთ არ მიგვაჩნია აქ ხელმეორეთ განვმარტოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნკუ.—1604. ამა ქკ᾽ნსა მიიცვალა მეფე როსტომ [1]:.

ᲠᲜᲔ.—1623. ამა ქკ᾽ნსა დეკენბერსა: თ: შეიბენ გოჯოურას მეფე გიორგი და ლეონ დადიანი. დადიანს გაემარჯვა:.

ᲠᲜᲣ.—1625. ამა ქკ᾽ნსა შვილმა მამია გურიელი მოკლა:.

ᲠᲚᲗ.—1637. ამა ქკ᾽ნსა მიიცვალა მეფე გიორგი:.

ᲠᲐᲣ.—1654. ამა ქკ᾽ნსა მიიცვალა მამუკა ბატონიშვილი. დადიანმა ლეონ დააშ(ა)ვა და მუნ ადესრულა დარჩენილი:.

ᲠᲐᲗ.—1657. ამა ქკ᾽ნსა მიიცვალა დადიანი ლეონ. და გაბატონა მეფე ალექს(ა)ნდრე დადიანი ვამეუ:. და ჭილაძე, მიქ(ე)ლ(ა)ძე დადიანმა და ოდიშარმა მეფეს მოსტეს ძმის სისხლშიდ:.

ᲠᲐᲮ.—1659. ამა ქკ᾽ნსა შემეებ მეფეს ალექსანდრეს დადიანი ლიპარ და ქაიხოსრო გურიელი. თვრათ-თვაშასა ურ(უ)მნი ახლდენ და ქართველი ბატონის ს(ა)ხლით (sic) უხუცესი ციციშვილი და ქ(ა)რთვ(ე)ლი ლაშქარი გუსრც ახლდენ ბანძას. მეფეს ალექსანდრეს გაემარჯვა:.

ᲠᲐᲠ.—1661. ამა ქკ᾽სა მიიცვალა მეფე ალექს(ა)ნდრე და ძე მისი ბ(ა)გრატ მეფედ დაჯდა:.

ᲠᲩᲤ.—1668. ამა ქკ᾽ნსა თაშამ ჩამოიყვანა კახი ბატონის ქალი დარიჯნა(sic) დედოფალი, გაბატონეს, მაგრამ ქუთათის ლეჩხუმლებ(მ)ა მოკლეს. ისევ ბაგრატს დარჩა მეფობ(ა)Ა:.

ᲠᲔ—1672. ამა ქკ᾽ნსა დაესხა მეფეს ბაგრატს ქუთათის ასან თაშა. მეფე კელთ დარჩა და იმერეთი და ოდიში აოხრა. ქუეანაᲐ (ქ᾽ᲔᲐ) ვერ დაიჭირა და ისევ მეფე გაბ(ა)ტონა(sic):.

ᲠᲔᲣ.—1674. ამა ქკ᾽ნსა შემოადგენ ქუთათის ციხეს მეფე ბაგრატ და იმერელნი. ქ(ა)რთვ(ე)ლთ ეჭირა. ადებით აიღეს, მაგრამ მოშალეს ღ᾽ნ[ხედვა მისი [2] ციხე ვ]ინც მოშალა, ქუთათისი დასწვეს და ქალაქი ადაოკრეს... [3]).

ᲠᲔᲮ.—1679. ამა ქკ᾽ნსა ჩამოვიდა იმერეთის დასაჭირვად მეფე არჩილ:.

---

[1]) იგულისხმება იმერეთის მეფე როსტომ.

[2]) ეს, რაც ფრჩხილებშია, გადასულია, ამიტომ ჩვენი კითხვა საეჭვოა.

[3]) აქ ორი სიტყვა გადასულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ՐԿԷ.—1703. ამა ქკ᾽ნსა ჩამოვიდა აზრუმის თავმა: სამეგრელოსა ციხე: ჭალატეის ციხე, შორაპნის ციხე დააქციეს, მრ(ა)ვალი ქუეყანა დაწვეს, დაკაფეს და აოხრეს:.

ՐԿԲ —1710. ამა ქკ᾽ნსა გაემარჯვა მეფე გიორგის თარეხანაულნეკს დადიანსა და რაჭის ბატონზედ და ვაკის ბატონზედ [1]).

Օ.—1712. ამა ქრნიკონსა გაემარჯვა ჩხარს მეფე გიორგის:

ՕԿ.—1732. ამა ქორონიკონსა მეფე ალექსანდრეს თავის ძმა შემოება, დადიანი, ერისთავი, აბაშიძე თანა ახლდა, მეფე ალექსანდრეს გაემარჯვა ჩიხორს. დადიანი დაირჩინეს:. თუესა (თ᾽ა) დეკენბერსა ბ᾽ გ:.

ՕԱԿ.—1757. ამა ქორნ᾽კნს იქმნა ხრესილს ომი, თათრებ(ი)ს ვეზირის ჯარს ახლდენ ერისთავი და აბაშიძე, წულუკიძე და მეფეს შამოებენ და გაემარჯვა მეფე სოლომონს: აბაშიძე მოკლეს, ერისთავი გააქციეს, წულუკიძე დაირჩინეს, ქემხა და ბაშალა მოკლეს. სხვაჲ უანგრიშო მოკლეს და დაირჩინეს: დეკემბერსა: იდ: დღესა კჳრიაკესა [1]):

ՕԾԿ.—1778 [2]). ქ. ამ ქორონიკონს მიიცვალა დედოფალი მარიამ დიდი მეფის:. სოლომონის (მეუღლე).

ՕՕԿ.—1784. ამა ქორონიკონსა:. მიიცვალა: ნეფე სოლომონ.

ՕՆԷ.—1793. ამა ქორონიკონსა მიცვალა სარდალ-ქეშიკთ უხუცესი ციხისთავი აგიაშვილი ქაიხოსრო.

ՕՆԿ.—1794. ამ ქორონიკონს მიცვალა (sic) მეფე დავით.

ՕՆԿ.—1797. ამა ქორონიკონსა მიცვალა მეფე ერეკლე.

ՕԿԷ.—1803. ამა ქორონიკონს მიიცვალა დადიანი გრიგოლ.

ბოლოს უწერია ხუცურათ იმ ხელით, რა ხელითაც მინაწერები სწერია:

რ᾽ჲ დ᾽თვდეს თ᾽ვსვე დაიწეე, სადა ქანწინი უზის:.

ეს. ქრ᾽ნკნი: მე დამიწერია ი᾽ეს:-

ამას ქვემოთ კიდევ ხუცურათ:

ქ ღ᾽ო შ᾽ე ი᾽ე ბატარიძე ა᾽ნ და კს᾽ნ:. ღ᾽ო ნუ წ᾽რსწემედ:.

---

[1]) სხვა მერმენდელის ხელით და მ᾽ლნით არის დაწერილი ხუცურად.

[2]) აქედგან იწყება მინაწერები მხედრ᾽ ულის ხელით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV

ჟამ-გულანი № 342 „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა“ და ისტორიული მინაწერები მისი კვინკლოსისა.

ჟამ-გულანი № 342 შემოწირული ვასილ არჩილის ძის ციციშვილის მიერ, 28×19 სანტ., დაწერილია მტკიცე ქაღალდზე ნუსხა ხუცურის ხელით და შავის მელნით. წითელური სათაურები, სტრიქონები და ასოები ბევრია; ტექსტი ნაწერია ერთ სვეტად და ზის ფერადებით დახატულ ოთხკუთხედში. თითო გვერდზე 33 სტრიქონია. ყდა აქვს ხისა შავ ტყავ გადაკრული და ზედ ყვავილებია ჩაკუჭვნით გამოხატული, შეიცავს სულ 640 ფურცელს. თავში 23 ფურცელი მეთვრამეტე საუკუნის ხელით არის მიმატებული და ნაწერია წვრილი ნუსხა მხედრულის ხელით ორ სვეტად. ამავე ხელით მიმატებულია შემდეგ 608 – 621 ფურცლები. აქ ტექსტი ნაწერია ერთ სვეტად. ბოლოს დართული აქვს კვინკლოსი; მაგრამ კვინკლოსს აკლია „ტმზ“ შემდეგი ქორონიკონები, ესე იგი 185 ქორონიკონი. ტექსტი მიმატებული ასე იწყება თავში: ფს᾽ნი დ᾽თისი. ნტრს კ᾽ცი რ᾽ი არა მივიდა ზრახვასა უ᾽ღთასა. ძველი ტექსტი ეხლა იწყება მესამე რვეულიდან (რვეულში რვა ფურცელია) ამ სიტყვებით: ად᾽სდ რ᾽ჲ ძლისგ᾽ნ ესე დ᾽ცვნი წ᾽რთქუსᲬ შუადმის უწინარეს:-

მე-იბ რვეულის ბოლოს მხედრული მინაწერი აქვს 1770 წლისა:

ქ. დ᾽ო სიტკბოებითა შენითა მოიხსენე გრიგორ: ქᲬს უᲫᲩ.

მე-იგ რვეულიდან იწყებიან იბაკონნი, სათაურით:

იბ᾽კონი წ᾽ისა დ᾽ისმᲨ᾽ბლისანი რ᾽დ არს დაუჯდომელნი, Წ ბერძულად იკათისტოს ეწოდების.

მე-კდ რვეულით თავდებიან იბაკონნი შენიშვნით:

აქა დასრულდა ოხითა იბაკონი წლისნი. თავითგან იწყე:-

მე-კე რვეულიდან იწყება გულანი სათაურით:

თ᾽ა დეკემბერსა კ᾽დ წინა დღე ქ᾽ეს შ᾽ბისა.

Წ ესრეთ იქმნას წესი ჟ᾽მთ დოცვისა:. კანკელსა წინაშე დაასუᲩნოს ხატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-231 ფურცლის მეორე გვერდზე სწერია ტექსტის ხელით:

წმიდანო ღ-ჱნო რ-ნი ამა წ-თა ყამ-გულანთა მიემთხჳნეთ მოიკსენებდით:- ჯ უბადრუკსა არა წ-ა მწიკულევანმა, მემსიძვმა, უძღებმა, მემრუშემა, მზრ-ხველმა, მემრულემა[1]), მ-სმენელმა. მე მხ-ლო მტ-რი ს-ლისა ჩ-მისა, საძაგელი და შებირდული. მე ულ-რსი ე-თა ცდ-ვლთგნი და ავთა მიმბაძველი და კარგთა მოძულე, მე სასო წარკუ-ფთიდმა და არა კთლ-ლ მოდ-ა-წემა, მე ც-დვლთა უნ(ა)რჩევველესმა და უნანულმა თ-ლ ცოდვილმა ფანასკერტელმა ციცისშვილმა სარდარის-ბალატ-უხუცის ბაბუნას ძემან ზაალ და თ-ა მეცხედრემან ჩ-ნმან ასულმან ამირეჯიბისამან ბატონმან მარიამ ვიგ(უ)ლეთ და ვიგულისმოდგინეთ და ადვწერინეთ წ-ჱ ესე და ს-ლთა განმანათლებელი უნაკლულო და ეი-თრთ ადსრულებული ჯაზულითა და დახ(ა)ტჯთა ესე ყამ-გულანი ს(უ)ლისა ჩ-ნისა საოხად და ძეთა ჩ-ნთა სადღეგრძელოდ და სასურველისა ჩ-ნისა მშობლისა სასულიერო და მოსაკსენებლად ქართველთ მეფის დის ლედის-იმედის საოხად. შემოგწირეთ მცირე ესე შეს(ა)წირავი შენ საშინელსა და ცათა უმაღლესსა ვედრებისა ღ-ის მშობელსა. ვინცა და რამ(ა)ნცა კაცმან ესე გამოგწიროს ანუ დიდთა ანუ მცირეთა, გინა მეფეთა, გინა ეფისკოპოსთა, ანუ ადამის ნათესავთა, ანუ ტეუ-ფობისაგან დაკსნილი არ მოგართუას ჩ-ნთა ცოდვათათჳსმცა განიკითხს მას მეორედ მოსლვასა და ნურათამცა ნუ იქნების კანა ს-ლისა მისისა დღესა მას დიდსა განკითხვასა. ᲑᲐ დამამტკიცებელნი ამისნი ღ-ნ აკურთხეს. დაიწერა წიგნი ესე ქჭსა: ტმთ:-

აქედგან სჩანს, რომ წიგნი გადაწერილია **1661** წელს.

ამას შემდეგ მე-232 ფურცლიდან ანუ მე-კდ რვეულიდან იწყება დასდებელნი ადგომისნი და რვა კმა და თავდება 318 ფურცლით, რომლის ბოლოს ტექსტის ხელით სწერია:

სრულ იქმნა რვა კმა ესე კურთხევანი და ერთი მრთელი შჯეული ოთვლითურთ უკლები ბრძანებითა ციხისშვილის ზაალისითა, აკმარეს ღ-ნ სიგრძესა შ-ა დღეთასა. კელითა ჩემ ცოდვილისა ათანასესითა. ახლად მოსწავლე ვიყავ და თუ რაჲმე დამეშავებინოს, ნუ მწყევთ, უფალნო ჩემნო, გევედრები:-

---

[1]) დედანში წერებულა: მემრუცლემა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-223 ფურცლის ბოლოს verso ტექსტის ხელით სწერია: ღ᾽თო და ხ(ს)ტო ცხ(ო)ველო მშჯდობასა და დდეგრძელობასა კარგად ყოფას შინა აკმარეთ წმიდანი ესე წიგნი: ცოდვანი მათნი შეუნდვენ ღ᾽ო: ზაალს ციციშვილს ს᾽ნ:-

მე-254 ფურცლის ბოლოს აშიაზე ტექსტის ხელით:

ᲐᲛ ღ᾽ო ადიდენ ᲑᲐᲢᲠᲝᲜᲘ ᲖᲐᲐᲚ ᲪᲘᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ამას შემდეგ მე-320 ფურცლიდან იწყება საგალობელნი საუფლოთა დდესასწაულთანი და სახინოთა წ᾽თა დდეთა თჳსცა გინდეს.

მე-409 ფურცლიდან ანუ კზ რვეულიდან იწყება სხვა დასდებელნი ამ სათაურით:

ესე დასდებელნი და გალობანი, რომლისცა მოციქულისათჳს გინდეს, მისთჳსცა ითქმიან სიტყჳსა ქცევითა, გარნა სადაცა ჩიტის თუალი ჯდეს, სახელს მას ადგილსა იტეოდი (იტე᾽დი):-

შემდეგი ნაწილი ხელთნაწერისა ნაწერია იესეს მიერ, რაც სჩანს მე-509 ფურცლის ბოლოს მინაწერიდან:

ᲐᲛ Შ᾽Ე Ფ᾽Დ Ც᾽Ი ᲘᲔᲡᲔ ᲐᲛᲐ ᲨᲑ᾽Თ ᲙᲒ᾽ᲘᲡ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲘ Ს᾽Ნ:- (აქამდის ხუცურათ არის ნაწერი შემდეგ მხედრულათ). რაც: ოდენ: ძალ მედგა: სიკეთესა: და: სიმართლესა: და: რიგს: ვეცადე: უწეის: ღ᾽თნ: უცებად: წერისათვის: ნუ: მწყევთ: ღ᾽ისათ᾽ს გ᾽ბი ო᾽ნო ჩმ᾽ნო. (უკანასკნელი ოთხი სიტყვა ხუცურათ სწერია).

მე-622 ფურცლიდან იწყება „განმარტებაჲ სიდუმლოთა კათოლიკე ეკლესიისა და სხ᾽ს მეტეუსლებაჲ წესთა მისთა განწესებული წ᾽ისა ბასილისა და წ᾽ისა მაქსიმესი და სხ᾽ჲთა მამათა“.

შემდეგ მოყვანილია „კითხვა-მიგებანი“ სხვა და სხვა მამათა.

ხელთნაწერი შემკობილია ფერადებით დახატული სურათებით. სურათებს უჭირავს ოცდა ოთხი ფურცელი, მაგრამ ზოგ ფურცლებზე თორმეტ-თორმეტი სურათია, ზოგზე ოთხ-ოთხი და სხვა. სურათებს წარწერა აქვს ბერძნულად და ხუცურად. ხუცური წარწერა მდარე ხელით არის და ეტყობა მერმეა მიწერილი.

მე-113 ფურცელის შემდეგ დახატულნი არიან წელთამდის: მამა ანტონი, ეფთჳმი, საბა, ონოფრე, ათანასი, არსენი, იოსიფატი, მარკოზ, იოანე დამასკელი, ზოსიმე, პავლე, ევფროსინე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-120 შემდეგ: წმიდა მოწამე სევასტიოს (წამება), ხაგლეს წამება, დეგნოს(?) არიოპაგელი, მამა ანზოს(?) წამება.

მე-128 შემდეგ ოთხი სურათი წმიდა ეკატერინეს წამებისა.

მე-148 შემდეგ—სურათი წ᾽თა ორმოცთა სევასტიას წამებულთა.

მე-155 შემდეგ: კოსტანტინე და ელენე, კოზმან და დამიანე (წელთამდის).

მე-319 შემდეგ: წმიდა ბასილი, იოანე ოქროპირი, გრიგოლი, ათანასი, კვირილე, ნიკოლოზ, სპირიდონ, ანდრია, პოლიკარპოს, გრიგოლ, სილიბისტრო.

მე-336 შემდეგ: წამებანი დიმიტრისი, მინასი, ეგნატესი, ელევთესი.

მე-353 შემდეგ—შობა.

მე-358 შემდეგ: წამებანი სტეფანესი, ანა, აზარია და მისაელისა, ვალასი, ხაგლე მოციქულისა.

მე-359 შემდეგ ნათლისღება.

მე-369 შემდეგ ხარება.

მე-374 შემდეგ წმიდის გიორგის წამებანი (ოთხი სურათი).

მე-396 შემდეგ ფერის ცვალება.

მე-399 შემდეგ ყოველად წმიდის მიცვალება.

მე-409 შემდეგ მირქმა.

მე-414 შემდეგ: ელია, ელისე, პანტელეიმონ, ტვირიფონ.

მე-419 შემდეგ: გიორგი, დიმიტრი, თეოდორე, პროკოპი, ნიკიტა, ევსტათი, გაიანე, თეოფისტე, მინა, კვირილე, არტემი.

მე-424 შემდეგ: ბარასკირა, მარინა, ანასტასია, თეკლა, ანასტასია, ეკატერინა, კვირიკე (კ᾽კე), მინადორა, მიტროდორა, ნიკოდორა, ბარბარა, იულიტა.

მე-496 ფურცელზე: ლაზარეს აღდგენა.

მე-544-ზე: ფერხთბანა, სერობა, (ქრისტემ) ბრძას თვალი აღუხილა, სამარიტელი.

მე-547-ზე ჯვარცმა.

მე-608 შემდეგ გვერდის გახხილვა თომას მიერ.

მე-609 შემდეგ ადამის ჯოჯოხეთიდან გამოყვანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-645 ფურცლიდან იწყება კვინკლოსი ისტორიულ წარწერებით, მაგრამ, როგორც მოვიხსენიეთ, კვინკლოსი სრული არ არის. მოგვაკვს მინაწერები, რომელნიც შერჩენილან და რომელნიც ერთ და იმავ ტექსტის ხელით არიან ნაწერნი: ქრონოლოგიური ცნობები იწყება 1388 წლიდან და თავდება 1656 წლით.

ქვ´ნს:

ᲝᲠ—1388 [1]). აქა მზე დაბნელდა.

ᲰᲜᲔ—1423. დაწყებ(ა)Ჲ ბერძენთა ქორონიკ(ო)ნისა [2]).

ᲰᲜᲬ—1429. აქა სარკინოზობ(ა) შეიქნა [3]).

ᲰᲚᲬ—1439. აქა კოსტანტინე მეფე გარდაიცვალა [4]).

ᲰᲬᲚ—1444. აქა კოსტანტინეპოლი დაიჭირეს ოთმანიანთა და სრულ (სრ´ლ) საბერძნეთი [5]):-

ᲰᲩᲔ—1463. აქა ქართვ(ე)ლთ მეფე თავრეზს (თვრეზს) გაიდაშქრა (გდ´შქრა) და თემურა ალარა.

ᲰᲝᲚ—1474. აქა გიორგი (გ´ი) მეფე გარდაიცვალა.

---

[1]) ჩვენ ქორონიკონის რიცხვს ვუმატებთ მეთოთხმეტე მოქცევის დასაწყისს, მაგრამ შეუძლებელია გადაჭრით თქმა, რომელ მოქცევის ქორონიკონზეა აქ საუბარი.

[2]) ეს უნდა ეკუთვნოდეს მე-XII მოქცევას და უდრიდეს 359 წელს (248+111=359), მაგრამ აქ შეცდომაა ორი წლით, ვინაითგან იულიანეს კალენდარი იწყება 361 წლიდან. უნდა იყოს ქორონიკონი რიგ, და ამგვარი ქორონიკონი მართლა გვხვდება სხვა ქართულს წყაროში (იხ. თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, გვ. 83).

[3]) თუ ეს ქორონიკონი მეცამეტე მოქცევას ვაკუთვნეთ, რაც უფრო საგულისხმოა, გამოვა 897 წ., მაგრამ გადაჭრით არც აქ ითქმის, რომელ მოქცევას ეკუთვნის ეს ქორონიკონი

[4]) აქაც ძნელია გადაჭრით თქმა, რომელ მოქცევას უნდა ვაკუთვნოთ ეს ქორონიკონი, მეცამეტეს თუ მეთოთხმეტეს. თუ მეცამეტეს ვაკუთვნებთ, მაშინ ეს იქნება კოსტანტინე აფხაზთა მეფის სიკვდილი 907 წელი. ვახუშტი ამ კოსტანტინეს სიკვდილს უჩვენებს 906 წელს.

[5]) აქედგან დაწყებული ყველა ქორონიკონები ეკუთვნიან მეთოთხმეტე მოქცევას და აღნუსხვილი ფაქტები ცნობილია სხვა ამგვარი წყაროებიდან და ამიტომ განმარტებას არ გამოვუდგებით. ეს და სხვა ამგვარი მრავალი ქრონოლოგიური ცნობები მოყვანილნი არიან თ. ჟორდანიას ქრონიკებშიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნკუ[1])—1535. აქა ამა ქორონიკონსა არის დასაბამითგან წელნი შჯდა(sic) ათას ოცდა ორი ვიდრე აქამდე [2]):-

ნკშ—1536. აქა მ(ურ)ჯ(ა)ხე(თ)ს შეიბნეს:-

ნკნ—1539. აქა სომეხნი შეიშ(ა)ლნეს და თევდორობის კერა ჯამეს:-

ნუნ—1543. აქა ხუანთქრის ფაშაები მოვიდეს რიცხჯთ ოცდა ორი ათასი: და სრულიად (სრ˜ლად) ტაო ამოსწყვიდეს:- მოუკდა ბაგრატ მეფე ქარადაქს, გაიმარჯვა, ამოსწყვიდნა მრავალნი (მრ˜ვლნი):-

ნ�ჩ—1550. აქა ტაოს ქუეყანაჲ (ქე˜ნჲ) დაიჭირეს ურუმთა:-

ნპნ—1553. აქა არტანუჯი წაართვეს (წრთვეს).

ნპუ—1554. აქა დიასამიძე და ვახუშტი დაიჭირა ყე(ე)ნმან:-

ნპკ—1555. აქა დიდის მეფეთ მეფის ასული მარიამ ეოფილი მარინე მიიცვალა:-

ნჩშ—1566. აქა დიდი ყამი შეიქმნა.

ნპნ—1573. აქა ეიზილბაშთ ოცხე ამოსწყჳდეს:-

ნპუ—1575. აქა პატრონი ქაიხოსრო ყაზმის მი(ი)ცვ(ა)ლა.

ნპნ—1579. აქა ლალ(ა) ფაშაჲ (ფშ˜ჲ) გამოვიდა.

ნპიჩ—1581. აქა სინა ფაშაჲ გამოვიდა.

ნიუ—1584. აქა ო(თ)მანიანთ ბატონს მანუჩარს უღალატეს და გააქციეს:.

ნსჩ—1600. აქა მიიცვალა ბატონიშვილი ბატონი როდამ:. და ამასვე წელსა მეფე სვიმონ დაიჭირეს:-

ნყნ—1603. აქა მიიცვალა დიდი ათაბაგის ასული ბატონი თეოდორაჲ:.

ჲყნ—1633. აქა მეფის ლუარს(ა)ბის შვილი(ს) შვილი როსტომ მეფე მოვიდა.

ჲყუ—1635. აქა სომეხნი შეიშ(ა)ლნეს მეორედ.

ჲყფ—1637. აქა ხუანთქარი (ხ˜ნთქრი) გამოვიდა და ერევანი (ერევნი) აიღო: და მასვე წელსა შასეფ წა(ა)რთვა:-

---

[1]) ამას წინ ერთი ფურცელი ქორონიკონის ცხრილს აკლია.

[2]) ეს არ ეთანხმება ქორონიკონს: 7022 წ. უდრის ბერძნული საოთვალავით 1514 წელს (7022—5508=1514).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲥᲬᲔ—1643. აქა შასეთ ყაენი (ᲧᲜᲘ) მიიცვალა.

ᲥᲬᲘ—1645. აქა გურიელის შვილი ოტია მიიცვალა:.

ᲥᲐᲨ—1656. აქა სვეტის ცხოვლის (ცხვლის) გუნბ(ა)თი დაიქცა.

V

მეფის გიორგის ძის დავით ბატონიშვილის ხელით დაწერილი ქრონოლოგიური ნუსხა.

ეს ნუსხა მოთავსებულია კვინტოს კურციოს წიგნის ხელთ-ნაწერის ბოლოს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა № 394, რომელიც კუთვნებია დავით ბატონიშვილს[1]). ნუსხა შეიცავს სულ 13 ქრონოლოგიურ ცნობას (მუხლებად დაყოფა ჩვენ გვეგუთვნის). აქ დავით მოგვითხრობს იმ ომების შესახებ, რომლებშიაც მას მონაწილეობა მიუღია. ცნობები იწყება 1785 წლიდან და თავდება 1798 წლით. ნაწერია თვით დავით ბატონიშვილის ხელით.

1. ომარხანმა რომ ადიდო ახტალა, მე ვიუავ წლისა ით, წელსა ჩდბე, თვესა სეკდენბერსა: კ: ხოლო—ვახანი ოკდონბრის ლ, დღესა ბარასკევსა. დავით (ჩართულად).

2. წელსა 1789, დღესა სამშაბათსა, ვსძღე ქარელში დიდსა ჯარსა ლეკთასა სამგზის, ივლისის 9. პირველი ჩემი ჯარის თავობა ეს იყო.

3. ამავე წელსა დავარბიე ყარსი, რ᾽ლიცა დიდ(დ)იდითა ალაფითა მოვიქეცით, და ვსძღეთ ფრიად (ფ᾽დ) მცირეთ მხედრობათა მათ. ამავე დღეს მოკვდა კელთაგან ჩემთა ბიგი-იშიყბეგ და თიქნირელისანი დღესა სამშაბათსა, ოკდონბრის 16. და სანი-ბეგიც მოვჰკალ.

4. წელსა 1791 ლეკის ჯარზედ გავიმარჯვე თიანეთს, დღესა ხუთშაბათსა, აგვსტოს 1.

---

[1]) ამ ხელთ-ნაწერის შესახებ ცნობები იხილე ჩემს წიგნში «Описаніе рукописей Общества грамотности», т. II, стр. 817—818.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. ამავე წელსა, სეკდენბრის 8, ჩინებული გამარჯვება მიმიხდა ილტოზედ ჩვენ მცირეთა ფრიადსა (ფ´დსა) ძალსა ზედა ლეკთასა, დღესა კვირიაკესა.

6. ამავე წელსა, ნოე(მ)ბერს 26, ფაღარსა და ბაიამათლოს დავ-ჭკარი, და საუცხოო გამარჯვებაც მოგჯხდა ამ დღეს სამგზის.

7. წელსა 1795 მოვიდა ალამაჭმათხან და შემუსრა ტფილისი და სძლო მეფესა. თუმცალა წინას დღეს ვსძლეთ იმისს ჩარზაჩას ჩი-ნებულად.

8. წელსა 1795 ყარაიაზედ ჩინებული ძლევა მოგ(ვი)ხდა დე-კემბრის ე, დღესა ხუთშაბათსა, ლეკის ჯარსა ზედა, ფრიად ჩინებუ-ლი, ჩვენ მცირეთა და შეჭირვებულთა დარღვევისათჯს ტფილისისა. ამავე თვესა 12 მოვიდნენ რუსნი.

9. ბრძანებითა მეფისათა წარვედით განჯას და ალვიდევით ქა-ლაქი და ციხეს მოვადეგით აპრილის 3 დღესა, ხუთშაბათს.

10. წელსა 1796, მაისის 10 დღესა, შაბათს, ჩინებული და უწარჩინებულესი გამარჯვება მოგჯხდა ციხისა ჯარზედა.

11. კვალად (კ´დ) მაისის 16 კარგი გამარჯვება მოგჯხდა და არზუმანცა მოვჭკალით. და ვიდრე ბატონის ჩამოსვლამდე თექვსმეტ ომი მოგჯხდა, თექვმეტ ჯერვე ვსძლეთ განჯელთა.

12. ამავე წელს, აქავ დგომაში, აქედამვე ავიალთვე ბაიანად წოდებული სოფელი, აპრილისს სამს, და ფრიადი ტყვე და საქონელი ვიშოვეთ.

13. წელსა 1798, ბრძანებითა მეფისა გიორგისათა, წარველ ყარსს, და ავიალთვეთ, და გაუქცივე ოსმალთ შეერილობა და ვსძლე ალიბეგს ესრეთ ჩინებულად, რომელ (რ´ლ) ყუხიც გავაგდებინეთ, ნოემბრის 11 იყო, დღესა ხუთშაბათსა:

ე. თაყაიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

I. რას შეიცავდა ეგრეთ წოდებული აფხაზეთის ისტორია ბაგრატ მეფისა, რომლითაც უსარგებლნია იერუსალიმის პატრიარხს დოსითეოსს თავის იერუსალიმის პატრიარხთა ისტორიაში . . . . . გვ. 3

1. ბიოგრაფიული ცნობები დოსითეოსის შესახებ . 3— 4
2. წერილები დოსითეოსისა საქართველოს მეფეებთან და კათალიკოსთან . . . . . 4— 9
3. ცნობები ხელთნაწერის შესახებ . . . . . 10—21
ანნა დედოფლის ეპიტაფია (11); იოანე პეტრიწის ნაქუსნი, კავშირის ბოლოს დართულნი. თუ რათ ეწოდა იოვანეს ჭირჭიმელი (15); დაბადების და მიცვალების დღეები ერეკლე მეფის და ბატონიშვილთა (17—18)
4. ეგრეთ წოდებული აფხაზეთის ისტორია ბაგრატ მეფისა. 21
განმარტება ამ ისტორიისა (22—26 ; აფხაზთა მეფეების ნუსხა ჩვენი ხელთნაწერის და დოსითეოს კათალიკოსის მიხედვით (27—29).

II. მოკლე ცნობები საქართველოს ისტორიიდან და შენიშვნანი ამ ცნობების შესახებ . . . . . 29—41

III. ჟამ-გულანი № 381 „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა“ და ისტორიული მინაწერები მისი კვინკლოსისა . . . . . 42—47

IV. ჟამ-გულანი № 342 „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა“ და ისტორიული მინაწერები მისი კვინკლოსისა . . . . . 48—54

V. მეფის გიორგის ძის დავით ბატონიშვილის ხელით დაწერილი ქრონოლოგიური ნუსხა . . . . 54—55

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ ე ს წ ო რ ე ბ ა ნ ი

გვ.	სტრიქ. ქვემოდან	დაბეჭდილია	უნდა იყოს
37	2	61	36
39	4	61	36
40	1	66	41
40	22	62	37

შესწორება-შენიშვნა

ზემოთ მეორე სტატიაში, გვ. 38, ტექსტში სწერია: „და დაჯდა შემდგომად მისსა (დავით აღმაშენებელისა) შვილი მისი ზურაბ მეფედ და დემეტრე დაიჭირა ყოველი სამეფო“. აქ ჩვენ ზურაბი და დემეტრე ორ სხვა და სხვა პირათ მივიღეთ, მაგრამ ეხლა უმჯობესად მიგვაჩნია აქ ერთი პირი ვიგულისხმოთ და სიტყვა „ზურაბი“ ეპიტეტათ მივიღოთ დიმიტრისა, ესე იგი დიმიტრი სწორი და მსგავსი იყო ზურაბისა (შაჰნამეს გმირისა), ისე, როგორც შავთელის შედარებით მამა მისი დავითი როსტომს უდრიდა გმირობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა